

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მენეჯმენტის ინსტიტუტი
ბარემოს დაცვის ეკოცენტრი



საქართველოს წყალთა მენეჯმენტის ინსტიტუტი
GEORGIAN WATER MANAGEMENT INSTITUTE
1929



VI საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია
„წყალთა მენეჯმენტის, ბარემოს დაცვის,
არქიტექტურისა და მუშაობების
თანამედროვე პრობლემები“

ურთმების კრებული
22-25 სექტემბერი, 2016

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
TSOTNE MIRTSKHULAVA WATER MANAGEMENT INSTITUTE
OF GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ECOCENTER FOR ENVIRONMENTAL PROTECTION

VI INTERNATIONAL SCIENTIFIC AND TECHNICAL CONFERENCE
„MODERN PROBLEMS OF WATER MANAGEMENT, ENVIRONMENTAL
PROTECTION, ARCHITECTURE AND CONSTRUCTION“

COLLECTED PAPERS
22–25 SEPTEMBER, 2016

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ
ИНСТИТУТ ВОДНОГО ХОЗЯЙСТВА ИМЕНИ ЦОТНЕ МИРЦХУЛАВА
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА
ЭКОЦЕНТР ОХРАНЫ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ

VI МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ
„СОВРЕМЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ ВОДНОГО ХОЗЯЙСТВА,
ОХРАНЫ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ,
АРХИТЕКТУРЫ И СТРОИТЕЛЬСТВА“

СБОРНИК НАУЧНЫХ ТРУДОВ
22–25 СЕНТЯБРЬ, 2016

საორგანიზაციო კომიტეტი:

ფრანგიშვილი ა. (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე), გასიტაშვილი ზ. (თანათავმჯდომარე), გავარდაშვილი გ. (თანათავმჯდომარე), ტოკმაჯიანი ო. (თანათავმჯდომარე), იმანოვი ფ. (თანათავმჯდომარე), ირემაშვილი ი. (პასუხისმგებელი მდივანი), ბალჯიანი პ., გოჯამანოვი მ., ზეინალოვი ტ., კარაპეტიანი გ., კოპალიანი ზ., კოპიტოვსკი ვ., მაჟაისკი ი., მისეტსკაიტე ო., მუსტაფაევი მ., ნათიშვილი ო., ნურეიევი ე., რაიჩიკი ი., პოპოვა ი., სალუკვაძე გ., სიმონიანი ა., სობოტა ე., სოკოლოვა ა., ჰერტმანი ლ., ტოკმაჯიანი ვ. დარბოვი ი.

Organizing Committee:

Prangishvili A. (Chairman of the Organizing Committee), Gasitashvili Z. (Co-chairman of the Organizing Committee), Gavardashvili G. (Co-chairman of the Organizing Committee), Tokmajyan O. (Co-chairman of the Organizing Committee), Imanov F. (Co-chairman of the Organizing Committee), Iremashvili I. (Executive Secretary), Baljyan P., Garibov I., Godjamanov M., Karapetyan G., Kopaliani Z., Kopitovskiy V., Majaiski Iu., Misetskaite O., Mustafayev M., Natishvili O., Nuriev E., Rajczyk J., Popova I., Salukvadze G., Simonyan A., Sobota J., Sokolova A., Hertman L., Tokmajyan V., Zeinalov T.

Организационный комитет:

Прангишвили А.И. (председатель организационного комитета), Гаситашвили З. (сопредседатель организационного комитета), Гавардашвили Г.В. (сопредседатель организационного комитета), Токмаджян О.В. (сопредседатель организационного комитета), Иманов Ф.А. (сопредседатель организационного комитета), Иремашвили И.Р. (ответственный секретарь), Балджян П.О., Гарибов И.А., Годжаманов М.Г., Зейналов Т.С., Карапетян Г.И., Копалиани З.Д., Копитовский В., Мажайский Ю.А., Мисецкайте О., Мустафаев М.Г., Натишвили О.Г., Нуриев Э.Б., Раичик Я.Э., Попова И., Салуквадзе Г.А., Симомян А.В., Собота Е., Соколова А., Гертман Л., Токмаджян В.О.

სამეცნიერო კომიტეტი:

აიუბი ბ. (აშშ), ბალჯიანი პ. (სომხეთი), ბაციკაძე თ. (საქართველო), ბორტვიკი ა. (დიდი ბრიტანეთი), ბოურნასკი ე. (ბულგარეთი), გავარდაშვილი გ. (საქართველო), გასიტაშვილი ზ. (საქართველო), გაჰრამანლი ი. (აზერბაიჯანი), დიაკონიძე რ. (საქართველო), დუბენოვი ს. (ბელარუსი), დობროლიუბოვი ს. (რუსეთი), დუდაი ნ. (ისრაელი), ვახონინი ნ. (ბელარუსი), ვლასაკი პ. (ჩეხეთი), ვუ ი. (ჩინეთი), ზეინალოვი ტ. (აზერბაიჯანი), თავმჯდომარე დ. (საქართველო), იმანოვი ფ. (აზერბაიჯანი), იორდანიშვილი ი. (საქართველო), ირემაშვილი ი. (საქართველო), კინგ ლ. (გერმანია), კლიმაშვილი ლ. (საქართველო), კოპალიანი ზ. (რუსეთი), კოპიტოვსკი ვ. (რუსეთი), კუზნეცოვი მ. (რუსეთი), კუპრეიშვილი შ. (საქართველო), ლოსკანდლი ვ. (ავსტრია), მაგომედოვა ა. (რუსეთი), მამატკანოვი დ. (ავსტრია), მამედოვი ა. (აზერბაიჯანი), მაჟაისკი ი. (რუსეთი), მეიჯერ ჯ. (აშშ), ნათიშვილი ო. (საქართველო), ჟანგ პ. (ჩინეთი), რაიჩიკი ი. (პოლონეთი), სარუხანიანი ა. (სომხეთი), სასკევიჩი პ. (ბელარუსი), სეიხან კ. (ტურქეთი), სობოტა ე. (პოლონეთი), სუვა ჰ. (პოლონეთი), ტოკმაჯიანი ო. (სომხეთი), ტოკმაჯიანი ვ. (სომხეთი), უჯმა ა. (პოლონეთი), ფრანგიშვილი ა. (საქართველო), დარბოვი ი. (აზერბაიჯანი), შილა ი. (ბელარუსი), ჩავჩავაძე გ. (საქართველო), ჩერნომორეცკი ს. (რუსეთი), ჯენევის რ. (იტალია), ჰაიდე ლ. (ნიდერლანდები).

Научный комитет:

Айуб Б.М. (США), Балджян П.О. (Армения), Бацикадзе Т.В. (Грузия), Бортвик А. (Англия), Боурнаски Е. (Болгария), Вахонин Н.К. (Беларусь), Власак П. (Чехия), Ву И. (Китай), Гавардашвили Г.В. (Грузия), Гаиде Л. (Нидерланды), Гарибов Ю.А. (Азербайджан), Гаситашвили З. (Грузия), Гахраманли Ю.В. (Азербайджан), Диаконидзе Р.В. (Грузия), Дженовойс Р. (Италия), Добролюбов С. (Россия), Дубенок С.А. (Беларусь), Дудай Н. (Израиль), Жанг П. (Китай), Зейналов Т.С. (Азербайджан), Иманов Ф.А. (Азербайджан), Иорданишвили И.К. (Грузия), Иремашвили И.Р. (Грузия), Кинг Л. (Германия), Климиашвили Л. (Грузия), Коваленко П. (Украина), Копалиани З.Д. (Россия), Кубечкова Д. (Чехия), Кузнецов М.С. (Россия), Купрешвили Ш.З. (Грузия), Лоискандл В. (Австрия), Магомедова А.В. (Россия), Мажайский Ю.А. (Россия), Маматканов Д.М. (Кыргызстан), Мамадов А.Ш. (Азербайджан), Мейджер Дж. (США), Натишвили О.Г. (Грузия), Прангишвили А.И. (Грузия), Райчик Я.Э. (Польша), Сарухания А. (Армения), Саскевич П.А. (Беларусь), Сейхан К. (Турция), Собота Е. (Польша), Сува Х. (Япония), Тавкхелидзе Д. (Грузия), Токмаджян О.В. (Армения), Токмаджян В.О. (Армения), Уджма А. (Польша), Чахая Г.Г. (Грузия), Черноморец С.С. (Россия), Шила И.Н. (Беларусь)

Scientific committee:

Ayyub B. (USA), Baljyan P. (Armenia), Batsikadze T. (Georgia), Borthwick A. (United Kingdom), Bournaski E. (Bulgaria), Chakhaia G. (Georgia), Chernomores S. (Russia), Diakonidze R. (Georgia), Dobrolioubov S. (Russia), Dubenok S. (Belarus); Dudai N. (Israel), Gahramanli Y. (Azerbaijan), Garibov Y. (Azerbaijan), Gasitashvili Z. (Georgia), Gavardashvili G. (Georgia), Genevois R. (Italy), Hayde L. (The Netherlands), Imanov F. (Azerbaijan), Iordanishvili I. (Georgia), Iremashvili I. (Georgia), King L. (Germany), Klimiashvili L. (Georgia), Kopaliani Z. (Russia), Kovalenko P. (Ukraine), Kubeckova D. (Czech republic), Kupreishvili Sh. (Georgia), Kuznetsov M. (Russia), Loiskandl W. (Austria), Magomedova A. (Russia), Mamatkanov D. (Kyrgyzstan), Mammadov A. (Azerbaijan), Mazhaiskiy Yu. (Russia), Major J. (USA), Natishvili O. (Georgia), Prangishvili A. (Georgia), Rajczyk J. (Poland), Sarukhanyan A. (Armenia), Saskevich P. (Belarus), Seyhan K. (Turkey), Shila I. (Belarus), Sobota E. (Poland), Suwa H. (Japan), Tavkhelidze D. (Georgia), Tokmajian O. (Armenia), Tokmajian V. (Armenia), Ujma A. (Poland), Vakhonin N. (Belarus), Vlasak P. (Czech republic), Wu I. (China), Zeynalov T. (Azerbaijan), Zhang P. (China)

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 60; ელ ფოსტა: gwmi1929@gmail.com; ვებ-გვერდი: <http://wmi.ge>
Address: 0179, Tbilisi, 60 Ave. I. Chavchavadze; E-mail: gwmi1929@gmail.com; web-site: <http://wmi.ge>
Адрес: 0179, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе 60. эл. почта: gwmi1929@gmail.com; веб-сайт: <http://wmi.ge>

ISSN 1512-2344

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, 2016
გარემოს დაცვის ეკოცენტრი, 2016

VI International Conference on
**“MODERN PROBLEMS OF WATER MANAGEMENT,
ENVIRONMENTAL PROTECTION, ARCHITECTURE
AND CONSTRUCTION”**

22–25 September 2016, Tbilisi – Telavi, Georgia

Conferences	Date	Place (Location)
I	18-22 August, 2011	Qobuleti, GEORGIA
II	24-31 July, 2012	Qobuleti, GEORGIA
III	29 July – 4 August, 2013	Tbilisi - Borjomi, GEORGIA
IV	27 – 30 September, 2014	Tbilisi, GEORGIA
V	16 – 19 July, 2015	Tbilisi, GEORGIA

Technical Sessions of the Conference

- Water management;
- Hydraulic engineering and irrigation;
- Hydrology and meteorology;
- Environmental protection;
- Safety and risk of hydraulic structures;
- Construction and architecture;
- Earth sciences.

**Photo gallery from V International Conference on
“MODERN PROBLEMS OF WATER MANAGEMENT, ENVIRONMENTAL
PROTECTION, ARCHITECTURE AND CONSTRUCTION”
16 – 19 July, 2015**



УСОВЕРШЕНСТВОВАННАЯ КОНСТРУКЦИЯ ДОННО-РЕШЕТЧАТОГО ВОДОЗАБОРА ДЛЯ ГОРНЫХ РЕК

И.А. Агаев, Т.С. Зейналов, Б.М. Ахмедов, А.М. Муслумов

НПО «Аз Г и М»
ул. И.Дадашева 324, 1130, Баку, Азербайджан

Аннотация. В статье приводится рациональная компоновка водозаборного гидроузла для горных селеносных рек; в состав, которого имеется водоприемная плотина с донно-решетчатым водозабором, а также дан её гидравлический расчет по определению основных параметров.

Ключевые слова: река, гидроузел, водозабор, решетка, галерея, расход.

ВВЕДЕНИЕ

Горные реки Азербайджана, стекающие со склонов Большого Кавказа, характеризуются большими уклонами, особенными гидрологическими, геологическими и гидроморфологическими условиями. Для них характерны быстронаступающие и кратковременные паводки, большие скорости течения и малые глубины потока. При прохождении ливней большой интенсивности и таяния снега на горных вершинах происходит быстрое (внезапное) нарастание паводков, которые транспортируют большое количество донных и взвешенных наносов, валунов, гальки, а также плавающих тел (деревья, сучья, коряги и пр.). На горных реках нередко возникают селевые потоки «структурного или «турбулентного» типа. Все перечисленные факторы чрезвычайно осложняют забор воды на нужды водопотребления (орошение, гидроэнергетика и пр.).

Как показала практика, в этих условиях наиболее приемлемым является строительство низких и средненапорных гидроузлов, имеющих на гребне решетку, а в теле плотины водоприемную галерею. Такие типы водозаборов называются донно-решетчатыми, или водозаборами тирольского типа. Водозаборные сооружения тирольского типа впервые были построены в конце XIX века на альпийских реках в Германии. Для повышения эффективности водозабора, до настоящего времени, предложены различные конструкции, улучшающие их работу при различных условиях на горных реках [3]. На горных реках, где возникают селевые потоки несущие огромное количество наносов и плавающих тел, эти сооружения имеют ряд недостатков, которые ограничивают их применение. Основными недостатками являются засорение решетки наносами, в галереях происходит интенсивное осаждение наносов, которые уменьшают её пропускную способность, верхний бьеф забивается наносами и т.д.

В настоящее время горный водозаборный гидроузел должен обеспечивать следующие требования:

- плановую, надежную водоподачу с учетом технических особенностей водопотребителя;
- очистку воды от донных и взвешенных наносов и пропуск в нижний бьеф плавающих тел и мусора;
- водоотбор при помощи водосбросных и водопропускных сооружений;
- безаварийный (безопасный) пропуск селевых и паводковых потоков;
- соблюдать необходимые экологические требования;
- высокую надежность работы всех элементов гидроузла, иметь простую конструкцию и пр.;
- несложную эксплуатацию при минимальных затратах.

В состав водозаборного гидроузла входит комплекс гидротехнических сооружений, скомпонованных между собой так, чтобы при их совместной и одновременной работе он выполнял свое назначение. Из этого следует, что водозаборный гидроузел - это многоплановый комплекс, каждое сооружение которого накладывает множество связей на другие сооружения и весь гидроузел в целом.

На водозаборном гидроузле можно выделить два комплекса: а) водоотборные сооружения и б) водозаборные сооружения по борьбе с наносами и плавающими телами.

Комплекс водоотборных сооружений включает в себя часть русла реки с сооружениями, образующими водохранилище (верхний бьеф), водосливную, щитовую, водоприемную и глухую плотину. Здесь осуществляются все действия водоотбора (пропуск расходов, очистка верхнего бьефа, гашение энергии селевого потока, очистка русла при помощи маневрирования затворов) и часть действий борьбы с наносами (осаждения крупных наносов) и часть водоподачи (водоприем и сброс части паводка).

Во-второй технологический комплекс гидроузла входят сооружения по очистке воды от наносов (промывная камера, отстойник) и сооружения по регулированию водоподачи в отводящий канал (шлюз-регулятор).

Выделение в гидроузле двух комплексов сооружений позволяет разработать для каждого из них принципиальную схему автоматизации и управление механизмами, а затем, комбинируя этими двумя комплексами, получить общую схему компоновки гидроузла.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Водоприемная плотина с донно-решетчатым водозабором объединяет эти два комплекса сооружений и является центральным элементом всего водозаборного гидроузла. Гребень водоприемной плотины устанавливается на 20÷30 см, ниже гребня водосливной плотины, что позволяет забрать необходимый расчетный расход на водопадачу, а излишки воды сбрасывать в нижний бьеф.

Водоприемная плотина состоит из двух основных элементов: водозаборной решетки, расположенной на водосливной поверхности и водоприемной галереи, расположенной внутри плотины. Гидравлический расчет водоприемной плотины с донно-решетчатым водозабором заключается в определении её ширины (B), длины водосливного профиля (L_p), поперечного сечения водоприемной галереи (b_r ; h_r), а также формы и конструкции профиля решетки.

При выполнении работы была принята методика, которая использовала результаты натурных и лабораторных исследований, а также был произведен анализ литературных данных по конструкциям водозаборных сооружений тирольского типа.

Движение воды через решетку, установленную на дне водосливной поверхности относится к случаю, пространственно изменяющегося движения с уменьшающимся расходом. Решетка изготавливается из параллельных стальных стержней. Следует отдавать предпочтение стержням трапецидальной формы, сужающимися вниз, так как в этом случае, уменьшается заклинивание просвета между стержнями наносами. Зазоры между стержнями решетки принимают от 0,8 до 1,2 см. На рис.1 представлена схема движения воды через решетку водоприемника. При заборе воды через решетку может быть два случая:




Рис. 1. Схема движения воды по водозаборной решетке

- а) при частичном заборе воды, когда $Q_1 - Q_2 = Q_3$, когда отметка воды в водохранилище больше НПП;
 б) при полном заборе воды, когда $Q_1 = Q_3$, при отметки воды на НПП, где: Q_1 - общий расход, поступающий на водоприемную плотину; Q_2 - избыток расхода, который сбрасывается; Q_3 - расчетный расход на водопотребление.

Гидравлический расчет решетки заключается в определении длины решетки, которая в свою очередь равна длине водоприемной плотины. Рассматривая гребень водоприемника как водослив практического профиля, можно определить длину решетки по следующей зависимости:

$$L_p = \frac{Q_3}{m \sqrt{2g \cdot H_0^{3/2}}}, \quad (1)$$

где: Q_3 – расчетный расход на водоподачу; L_p – длина решетки и водоприемной плотины, m – коэффициент расхода водослива, H_0 – действующий напор на гребне водослива.

При условии, что весь расчетный расход Q_3 проходит через решетку в галерею, в этом случае на входе на решетку устанавливается критическая глубина $h_1 = h_{кр}$, а $h_2 = 0$, тогда напор будет следующим: $h_{кр} = \frac{h_{кр}}{2}$, с учетом этого, ширину решетки можно установить по следующей зависимости [3]:

$$b_p = \frac{Q_3}{L_p \cdot g \cdot \eta \cdot K_3 \sqrt{2g \cdot h_{кр}}}, \quad (2)$$

где: b_p – ширина решетки; $g = \frac{s}{s+d}$ – коэфф. просвета решетки (s – зазор между стержнями; d – толщина стержня); η – коэффициент, расхода решетки $\eta = 0,55 \div 0,60$; K_3 – коэффициент засорения решетки, может быть принят $K_3 = 0,90$; $h_{кр}$ – критическая глубина, $h_{кр} = \sqrt{\frac{\alpha Q_3^2}{L_p^2 \cdot g}}$.

Другой важной функцией решетки является уменьшение количества донных наносов, поступающих в водоприемную галерею.

Обычно, водосливная поверхность, на которую устанавливают металлическую решетку, имеет уклон от $i_p = 0,08$ до $i_p = 0,2$; такие водосливы по виду относятся к водосливу с широким порогом. Несмотря на то, что решетка имеет достаточно большой уклон, она быстро забивается наносами, для очистки которых необходимо останавливать процесс водопада.

Для уменьшения попадания донных наносов в галерею и засорения решетки, необходимо определить оптимальный профиль водосливной поверхности, на которую устанавливается решетка.

Нами предлагается: часть водосливной поверхности, на которую будет установлена решетка, выполнить в виде окружности с радиусом « R_p » и центральным углом « α ». Радиус окружности зависит от ширины решетки; можно определить по следующей зависимости:

при: $\alpha = 45^\circ$

$$R_p = \frac{4}{\pi} \cdot b_p \approx 1,27 \cdot b_p \quad (3)$$

При движении воды, насыщенной наносами по поверхности, выполненной в виде окружности, на твердую частицу действует центробежная сила $F = \frac{mv^2}{gR_p}$ отталкивающая её от

решетки. Построение профиля донной решетки по окружности радиусом R_p и действия сил на частицы представлены на рис.1. На конструкцию донной решетки, выполненной в виде окружности, авторами получен патент [4].

Водозаборную решетку следует выполнять секциями шириной не более 1,2 м, длина каждой секции не более 1,8÷2,0 м. Очистку решетки от наносов следует производить при помощи скребка-грейфера.

Второй гидравлический расчет проводится для определения размеров галереи и создания условий для очистки её от отложившихся донных наносов. Поперечное сечение галереи обычно выполняют в виде прямоугольной формы. Вода через решетку равномерно поступает по длине галереи. Движение потока в галерею происходит с увеличивающимся расходом. Одномерное уравнение этого движения может быть представлено в следующем виде [1]:

$$\frac{\delta}{\delta x} \left(\frac{Q^2}{\omega} \right) + g \cdot \omega \cdot \frac{\delta h}{\delta x} + \frac{g \cdot Q^2}{c^2 \cdot \omega \cdot R} - U \cdot \cos \alpha \cdot q = 0 \quad (4)$$

где: Q – расход в галерее; ω – площадь поперечного сечения; h – глубина воды; C – коэффициент Шези; R – гидравлический радиус; U – скорость присоединяемого расхода; α – угол присоединения; q – удельный расход присоединения; x – координаты длины галереи.




Рис. 2. Расчетная схема водоприемной галереи

Решение уравнения (4) возможно различными методами вычислительной гидравлики (метод характеристик, конечных разностей и пр.), которые даны в работе [1]. Решение подобных уравнений требуют специальную подготовку, сложных и кропотливых вычислений.

Для рассматриваемого нами случая, можно значительно облегчить задачу, исходя из того, что нам для расчета нужно знать два параметра – глубину и скорость. Принимая следующие допущения: а) галерея прямоугольная; б) потери на трение не учитываем; в) угол присоединения, $\alpha=90$, г) дно горизонтальное, $i=0$; д) движение рассматривается при $b=1,0$ м.

С учетом этих допущений, уравнение (4) будет иметь следующий вид:

$$\frac{\delta}{\delta x} \left(v^2 \cdot h + \frac{g h^3}{2} \right) = 0 \quad (5)$$

где: v и h – соответственно скорость и глубина воды в галерее.

Уравнение (5) показывает, что между любыми сечениями должно соблюдаться условие сохранения продольной составляющей количества движения. В дискретной форме уравнение (5) можно записать в следующем виде:

$$v_1^2 \cdot h_1 + \frac{g h_1^3}{2} = v_2^2 \cdot h_2 + \frac{g h_2^3}{2} \quad (6)$$

По уравнению (6), если известна продольная составляющая количества движения в одном сечении, можно определить параметры v и h в любом другом сечении галереи. Для решения конкретных задач, необходимо знать глубину воды в начальной части и в конце галереи. Для нашего случая, в начале галереи, как видно из рис.2, скорость $V_1=V_H=0$, тогда получим:

$$\frac{g h_H^3}{2} = v_k^2 \cdot h_k + \frac{g h_k^3}{2} \quad (7)$$

где: h_H и h_k – глубины в начале и конце галереи.

После несложных преобразований, можно получить зависимость начальной глубины (h_H) от глубины (h_k) и числа Фруда, устанавливаемых в концевой части галереи т.е.:

$$h_H = h_k \sqrt{1 + 2Fr_k^2} \quad (8)$$

где: $Fr_k = v_k / \sqrt{g \cdot h_k}$ – число Фруда (параметр кинетичности).

Таким образом, зная глубину в конце галереи, можно установить начальную глубину. В нашем случае водоприемная галерея соединяется с промывной камерой, поэтому здесь устанавливается критическая глубина т.е. $h_k = h_{кр}$; тогда $Fr_k = 1$.

Другим важным вопросом является удаление отложившихся наносов в галерее. Оптимальный зазор между стержнями решетки составляет $s=0,8 \div 1,2$ см; учитывая тарельчатую форму наносов, максимальной диаметр наносов может составить, $d_{max}=2,4 \text{ см} \div 3,6$ см. Для транспорта наносов по галерее, необходима минимальная скорость потока $V_{np} > 2,5$ м/с. Средние скорости в начальной

части галереи очень малы ($V_H=0\div 0,5$ м/с), поэтому происходит осаждения наносов, которые в дальнейшем уплотняются и заполняют большую часть галереи и, тем самым, уменьшают её пропускную способность. Поэтому приходится часто останавливать забор воды и производить очистку галереи ручным или механическим способом. Для борьбы с этим явлением в гидротехнической практике используют различные способы (промывная галерея, сепараторная камера, промывка при помощи щитов и пр.), которые очень сложные и неэффективные и часто выходит из строя при эксплуатации водозаборных гидроузлов.

Для удаления наносов из водоприемной галереи, при этом, не останавливая процесса водопадачи, нами было принято следующее решение:

1. При компоновке гидроузла водоприемную плотину расположить рядом с щитовой плотиной, чтобы была возможность произвести промывку наносов в нижнем бьефе сооружения;
2. Дно галереи выполнить с обратным уклоном в сторону щитовой плотины;
3. На раздельном быке, который расположен между щитовой и водоприемной плотиной, установить промывное отверстие, обеспечивающее пропуск отложившихся наносов в нижний бьеф.

Размеры промывного отверстия (b_{np} и h_{np}) устанавливаются таким образом, чтобы происходила эффективная и ускоренная промывка галереи. Ширина b_{np} и высота h_{np} отверстия могут быть приняты в зависимости от ширины галереи (b_G) в следующих пределах:

$$b_{np}=(0,5\div 0,6)\cdot b_G \text{ и } h_{np}=(0,2\div 0,3) b_G.$$

Схема расположения промывного отверстия представлена на рис.4.

Промывное отверстие регулируется при помощи плоского затвора. Как было установлено выше, в галерею могут попадать наносы диаметров от 24 мм до 36 мм, при просвете решетки 10÷12 мм. Для промывки этих наносов необходимо в начале галереи создать скорости (V_{np}), которые определяются по следующей зависимости [2]:

$$V_{np}=3,2\cdot\sqrt{15\cdot d_{max}} \quad , \quad (9)$$

где: V_{np} – средняя скорость, при которой наносы транспортируются в галерею; d_{max} – максимальный диаметр наносов, поступающих в галерею, м.




Рис. 3. Схема водоприемника с обратной промывкой наносов:

1 – водоприемная галерея; 2 – решетки; 3 – промывное отверстие; 4 – бык; 5 - наносы

Величина скорости ($V_{ш}$), которая будет иметь место в промывном отверстии определяется по зависимости:

$$V_{ш}=\eta\sqrt{2g(h_H+iL)} \quad , \quad (10)$$

где η – коэффициент расхода (истечение из под щита) $\eta=0,60\div 0,62$; h_H – глубина в начале галереи; i – обратный уклон; L – длина галереи.

Для эффективной промывки галереи необходимо соблюдать следующее условие:

$$V_{ш}\geq V_{np}$$

При прохождении селевых потоков, когда мутность воды (g_m) в реке достигает величины $g_m=150\div 180$ кг/м³, можно произвести непрерывную промывку галереи, т.к. расход на промывку составляет не более 15%-20% от величина расхода на водоподачу.

Из водоприемной галереи вода поступает в промывную камеру, где происходит успокоение потока и осаждение достаточно крупных наносов, которые периодически промываются при поднятии щита. Из промывной камеры вода через боковое окно поступает в отстойник для дальнейшей, более тонкой очистки воды от наносов.

Предложенная схема компоновки водозаборного гидроузла, а также конструктивные элементы основных сооружений, были использованы при строительстве малой ГЭС на селеносной реке Белоканчай в Азербайджане.

ВЫВОДЫ

На основании выполненных исследований, была разработана усовершенствованная конструкция донно-решетчатого водоприемника при водозаборе из горных рек, а также дан её гидравлический расчет.

ЛИТЕРАТУРА

1. М.Б.Эббот. «Гидравлика открытого потока», Энергоатомиздат, М., 1983 с. 16-20.
2. Ф.С.Салахов. «Циркуляционная камера по борьбе с наносами при водозаборе из горных рек», Труды Аз НИИГ, М., Баку, 1968 г, с.277-285.
3. Ю.А.Иббазде. «Гидравлика горных рек» Стройиздат, М., 1986 г., с.62-75.
4. В.М.Əhmədov, İ.Н.Аğayev, А.М.Мüslümov. «Suqəbuledici qurğuş» Patent i20150070, 2015.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

მთის მდინარეთა ფსკერულ-ცხაური წყალშემკრების გაუმჯობესებელი კონსტრუქცია

აღაევი ი.ა., ზეინალოვი თ.ს., ახმედოვი ბ.მ., მუსლუმოვი ა.მ.

НПО «Аз Г и М»

ი. დადაშევის ქ. 324, 1130, ბაქო, აზერბაიჯანი

ანოტაცია. სტატიაში მოყვანილია მთის ღვარცოფული მდინარეებისათვის ჰიდროკვანძის წყალშემკრების რაციონალური განლაგება, რომელიც შედგება კაშხლისაგან ფსკერულ-ცხაური წყალმიღებით, ასევე მიღებულია ჰიდრაულიკური გაანგარიშება ძირითადი პარამეტრების განსაზღვრისათვის.

საკვანძო სიტყვები: მდინარე, ჰიდროკვანძი, წყალშემკრები, ცხაური, გაღერვა, ხარჯი.

Hydro technique and reclamation

IMPROVED CONSTRUCTION OF GROUND LATTICED WATER INTAKE FOR MOUNTAIN RIVERS

Agaev I.A., Zeinalov T.S., Akhmedov B.M., Muslumov A.M.

I. Dadashev St. 324, 1130, Baku, Azerbaijan

Annotation. The article in troducer water intake facilities for mountainous mudflour rivers which includes water-inlet down whit groundlattice waterintake and there vis also a deseription of hydraulic calculation aiming to define its basic parometers.

Keywords: river, hydrosystem, water intake, grating, tumel, expense.

ქალაქ ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის აღდგენის ლონისძიებათა შესახებ

შალვა გაგოშიძე¹, მანონი კოდუა¹, ლაშა რურუა²

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

²ს.ო. „ახალი ტექნოლოგიები და გარემო“, საქართველო

E-mail: sh.gagoshidze@gmail.com; lasharuraa@gmail.com

ანოტაცია. სტატიაში ისტორიულ ჭრილში განიხილება ქალაქ ფოთის წარეცხილი სანაპირო ზოლის აღსადგენად ჩატარებული ღონისძიებები. გაანალიზებული და თეორიულად დასაბუთებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესორ გ.რურუას მიერ შემუშავებული და განხორციელებული მეთოდი, რაც მდგომარეობს ქალაქის არხში მდინარის ნატანით გაჯერებული ხარჯების გატარებაში მხოლოდ მაშინ, როცა ზღვა იმყოფება წყნარ მდგომარეობაში. რადგან შტორმის შემთხვევაში მდინარის მყარი ნატანი უმიზნოდ იკარგება ზღვაში და არ ხმარდება ნაპირის აღდგენას.

საკვანძო სიტყვები: სანაპირო ზოლი, ნატანი, წყალგამყოფი ჰიდროკვანძი, ფარების რეგულირება, ტალღები, მდინარის ნაკადი.

შესავალი

ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის კატასტროფული წარეცხვები დაიწყო მას შემდეგ, რაც 1939 წელს მდ. რიონი გადაგდებულ იქნა ქალაქის ჩრდილოეთით. ამ ღონისძიებამ, მართალია, თვით ქალაქი იხსნა ხშირი დატბორვებისაგან, მაგრამ ქალაქის ნაპირზე შექმნა პლაჟწარმოქმნელი ნატანის აუნაზღაურებელი დეფიციტი. ზოგიერთ უბანზე ნაპირმა 2 კმ-მდე დაიხია უკან და დაინგრა საცხოვრებელი სახლები. ნაპირზე დაიყარა დიდი რაოდენობის ბეტონის ბლოკები, ფლეთილი ქვა და ლოდი, რომლებიც მალე ჩაიძირა წყლით გაჯერებულ წვრილ ქვიშაში და ზღვამ მაინც განაგრძო ფოთის ნაპირის წარეცხვა. რაც კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მდ. რიონზე გუმათისა და ვარციხეჭესების კასკადის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ნატანის მკვეთრი დეფიციტის გამო.

1959 წელს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მდინარე რიონზე ფოთიდან მე-7 კმ-ზე ააგეს წყალგამყოფი ჰიდროკვანძი ხიდ-კაშხლითა და რაბ-რეგულატორით. რაბ-რეგულატორის დანიშნულება იყო 600 მ³/წ-მდე მდინარის ხარჯების დაბრუნება ძველ კალაპოტში (ე.წ. საქალაქო არხში) და ამ გზით ზღვის ნაპირზე ნატანის არსებული დეფიციტის (600 ათასი მ³/წლ.) შევსება. მაგრამ არხის კალაპოტის დაღეჭვისა და ზღვაში გასასვლელი კვეთის დეფორმაციების გამო, 300 მ³/წმ-ზე მეტი ხარჯების გატარებისას ქალაქი კვლავ დაექვემდებარა დატბორვებს [1].


ამასთან, დაიწყო ფოთის პორტის შესასვლელი არხში ინტენსიური მოსილვები, რაც დღემდე გრძელდება და საჭიროებს სისტემატიურ გაწმენდას, რომელიც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტ FR35/9-120/14-ის ფარგლებში

დაპროექტებისას დაშვებული შეცდომების გამო დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ნგრევა განიცადა კაშხალ-ხიდის ქვედა ბიფემა. დღეს ამ ნაგებობას მარეგულირებელი ფუნქცია ფაქტობრივად დაკარგული აქვს და მის არსებობას საფრთხე ემუქრება.

რაც შეეხება მდინარის ამჟამინდელ შესართავს, აქ ხმელეთმა ინტენსიურად იწყო ზრდა, წარმოქმნა დელტა და კუნძული ნაბადა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა სქემატურად მოცემულია ნახ.1-ზე.

ქვემოთ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პრობლემებზე.



ნახ.1. ფოთის საზღვაო რეგიონში არსებული გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების რუკა

-- სანაპირო ზოლი 1938 წელს; — სანაპირო ზოლი 2014 წელს

ძირითადი ნაწილი

80-იან წლებში ფოთის სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებათა შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები პროფესორ გ. რურუას ხელმძღვანელობით. შემუშავებულ იქნა ფოთთან მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის ისეთი რეჟიმები, რომლებსაც უნდა აღმოეფხვრა ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესები. ეს რეჟიმები გულისხმობდა:


1. ქალაქის არხში მდინარის ნატანით გაჯერებული ხარჯების გაშვებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ზღვა იმყოფება წყნარ მდგომარეობაში, რადგან, პროფესორ გ. რურუას აპრიორული მტკიცებით, მხოლოდ ამ პირობებში იყო მოსალოდნელი ნატანის აკუმულაცია სანაპირო ზოლში. (წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ როცა ზღვა დელავს, მდინარის წყალდიდობის ხარჯების გავლისას ნატანი გადაადგილდება ზღვის დიდი სიღრმეებისაკენ და არ ხმარდება წარეცხილი სანაპირო ზოლის აღდგენას)[3,4];

2. წყნარი ზღვის პირობებში ნაპირთან ახლოს დალექილი ნატანი შემდგომ თვით ტალღებს უნდა გადაენაწილებინა სანაპირო ზოლის გასწვრივ და მოხმარებოდა პლაჟის ზრდას.

აღნიშნული რეკომენდაციები განხორციელდა კიდევ, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში. მიუხედავად სტუ-ჯგუფის მიერ ნატურული ექსპერიმენტების ჩატარების შედეგებით მოკლე პერიოდისა, მდ. რიონის შესართავ უბანთან მართლაც აღინიშნა ზღვის ნაპირის სტაბილური ზრდა. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ნაპირი შესამჩნევად გაიზარდა ქალაქის არხის შესართავთან აგებულ შუქურასთან. მაგრამ 90-იან წლებში, ცნობილი მოვლენების გამო, შეწყდა როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ასევე წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ექსპლუატაცია აღნიშნული რეჟიმებით.

შემდგომ, ფოთის საზღვაო ნაპირის აღდგენა გაგრძელდა სსგ „საქნაპირდაცვის“ მიერ დაპროექტებული პულპასადენის მეშვეობით (წინადადების ავტორი პროფ. ვ. საყვარელიძე). პულპასადენი სათავეს იღებდა წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ზედა ბიეფიდან და ზღვის ნაპირამდე მიყვებოდა ქალაქის არხის ჯებირს, აწვდიდა რა მდ.რიონის წყალგამყოფ ჰიდროკვანძთან აკუმულირებულ ნატანს ფოთის წარეცხილ ნაპირს. ამ ღონისძიებამაც გამოიღო მნიშვნელოვანი ეფექტი, მაგრამ არც იგი გაგრძელებულა დიდხანს პულპასადენის მწყობრიდან გამოსვლის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული ლაბორატორიული და საველე კვლევის შედეგები დაფუძნებული პროფესორ გ. რურუას მოსაზრებებზე სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა ჩვენ მიერ მიღებულ თეორიულ შედეგებთან. კერძოდ, ჩვენს მიერ გრძელტალღოვანი თეორიის ფარგლებში მიღებული შედეგების თანახმად [1,2], როცა ტალღები მიმართულია დინების საწინააღმდეგოდ (ნახ.2).



ნახ. 2. ტალღების საწინააღმდეგოდ მდინარის შესართავ აკვატორიაში

მდინარეთა შესართავ უბნებში სითხის ნაწილაკთა სიჩქარე იანგარიშება დამოკიდებულებით:

$$U = U_0(x) - a_0 \frac{\sigma}{\sqrt[4]{(k_0 H)^3}} \left(\frac{U_0}{\sqrt{gH}} \pm 1 \right) \sin \left(\sigma t - \frac{\sigma U_0}{g i_0} \pm 2 \sqrt{\frac{k_0 x}{i_0}} \right), \quad (1)$$

სადაც $U_0(x)$ – მდინარის ცვალებადი სიჩქარეა შესართავ აკვატორიაში; x ღერძი ემთხვევა ზღვის შეუმფოთებელ ზედაპირს და მიმართულია დიდი სიღრმეებისაკენ; a_0 და λ_0 – შესაბამისად ტალღის ამპლიტუდა და სიგრძეა მოცემული ნაპირიდან შორ მანძილზე; σ –

ტალღურ რხევათა სიხშირეა; $k_0 = \frac{2\pi}{\lambda_0}$ -- ტალღური რიცხვი; H – წყლის ცვალებადი


სიღრმე სტატიკურად შეუშფოთებელ მდგომარეობაში; i_0 - ფსკერის ქანობი;

(1) გამოსახულება გვამღევს საშუალებას, ავგოთ ფოთის საქალაქო არხის შესართავ აკვატორიაში სითხის ნაწილაკების მაქსიმალურ სიჩქარეთა განაწილების მრუდები, როგორც ზღვაზე ღელვის პროცესში, ასევე წყნარი ზღვის (ე.წ. შტილის) პირობებში.

ფოთის საქალაქო არხის სიგანე – $b_0 = 80$ მ; სიღრმე – $H_0 = 4$ მ; გასატარებელი ხარჯი $Q = 400$ მ³/წმ; დაყვანილი ხარჯი $q = 5$ მ²/წმ; არხის შესართავ აკვატორიაში ზღვის ფსკერის ქანობი $i_0 = 0.0067$, პლაჟწარმომქმნელი ნატანის გამრეცხი სიჩქარე $U_{გ.ა.} = 0.8$ მ/წმ,

ვთქვათ, ზღვის მხრიდან შესართავისკენ მოემართებიან რეგულარული ტალღები, რომელთა სიმაღლე ნაპირიდან შორს, ღრმა წყალზე $h_0 = 2$ მ (ამპლიტუდა $a_0 = 1$ მ), სიგრძე $\lambda_0 = 108$ მ; (შესაბამისად ტალღური რიცხვი $k_0 = 2\pi/\lambda_0 = 0.058$ მ⁻¹), ტალღურ რხევათა პერიოდი პერიოდი $\tau = 8,26$ წმ, (სიხშირე $\sigma = 2\pi/\tau = 0.76$ წმ⁻¹).

ნახ. 3–ზე წარმოდგენილია (1) დამოკიდებულებით აგებული ნაპირისაკენ მიმართული ღელვისას წყლის ნაწილაკთა დადებითი (ზღვისკენ მიმართული) და უარყოფითი (ნაპირისკენ მიმართული) მაქსიმალური სიჩქარეების ცვლილების მრუდები შესართავ აკვატორიაში ზღვის სხვადასხვა სიღრმეებისათვის.



ნახ. 3. ფოთის „საქალაქო არხის“ შესართავში მაქსიმალურ სიჩქარეთა განაწილების მრუდები

როცა (1)-ში აიღება ზედა „+“ ნიშანი, და ამავე დროს $\sin\left(\sigma - \frac{\sigma U_0}{gi_0} \pm 2\sqrt{\frac{k_0 x}{i_0}}\right) = -1$, ანუ, როცა ნაპირისკენ გადაადგილდება ტალღის ფსკერი და $\sin\left(\sigma - \frac{\sigma U_0}{gi_0} \pm 2\sqrt{\frac{k_0 x}{i_0}}\right) = +1$ როცა ხდება დინების საწინააღმდეგოდ ხდება ტალღის ქიმის გადაადგილება.

ნატანგამრეცხი სიჩქარის ამსახველი წრფეების გადაკვეთა აღნიშნულ მრუდებთან და აგრეთვე მდინარის ჭავლის U_0 სიჩქარის ცვლილების მრუდთან გვიჩვენებს, რომ მოცემული ღელვის შედეგად ნატანი ინტეგრალურად გადაიტანება $H = 22$ მ სიღრმემდე, რაც ნაპირის ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 2,7 კმ მანძილზე, იმ დროს, როდესაც რომ არ გვექონდა ღელვა ($\sigma = 0$) მდინარის მიერ გამოტანილი ნატანი დაილექებოდა $H = q/0.8 = 6.25$ მ სიღრმეზე, ანუ გაცილებით ახლოს, ნაპირიდან მაქსიმუმ 335 მ მანძილზე, რაც შემდგომ მართლაც მოხმარდება ნაპირის ზრდას, თუ ღელვის პროცესში წყალგამყოფი ჰიდროკვანძიდან შევწყვეტთ მდინარის წყლის მიწოდებას ქალაქის არხში.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ერთის მხრივ თეორიულად ასაბუთებს პროფესორ გ. რურუას მიერ შემოთავაზებულ ფოთის წყალგამანაწილებელი რეგულატორის საექსპლუატაციო რეჟიმების მართებულობას, ხოლო მეორეს მხრივ მეტყველებს (1) დამოკიდებულების როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

დასკვნა

გამომდნარე ზემოთქმულიდან, მიგვაჩნია, რომ პროფესორ გ. რურუას მიერ შემოთავაზებული ღონისძიება აუცილებლად უნდა აღდგეს და დაიხვეწოს წყალგამყოფი ჰიდროკვანძის კაპიტალური რეაბილიტაციისა და ქალაქის არხის გაწმენდის შემდეგ. არხის გაწმენდის შედეგად ამოღებული მასალა (≈ 1 მლნ. მ³) შეიძლება გამოყენებულ იქნას სანაპირო ზოლის ეროზიისაგან დასაცავად. მათემატიკური მოდელირების შედეგები გვიჩვენებს, რომ ასეთი ღონისძიება აღადგენს ფოთის წარეცხილ სანაპირო ზოლს. არ უნდა გამოირიცხოს მწყობრიდან გამოსული პულპასადენის აღდგენის საკითხიც, მაგრამ ყველა ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის მარეგულირებელი ფარების კაპიტალური რეაბილიტაციის შემდეგ.

ლიტერატურა

1. გაგოშიძე შ., ლოღელიანი ლ., ქადარია ი. ჰიდროსაინჟინრო და გარემოს დაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქალაქ ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში. რუსთაველის ეროვნული ფონდი, საგრანტო პროექტი # 480. 2009-2011 წ.წ. 149გვ.
2. Gagoshidze Sh., Qadaria J. Long wave on variable stationary flow. Proceedings of Long Waves Symposium, in parallel with the XXX IAHR Congress, Thessaloniki, Greece, August 25-27, 2003. p. 5;

3. Руруа Г. Дополнения к временным техническим указаниям по эксплуатации вододелительного узла на реке Риони. Г.П.И. 1983 -1985;
4. Руруа Г. Исследования мероприятия по регулировании устьевого участка. Г.П.И. 1985 г. удк.627;
5. Руруа Г. А/С#1101501 А за 1983г. приказы #1663.

Environmental protection

**ON THE MEASURES OF RESTORING THE WASHED-OUT
COAST OF THE CITY OF POTI**

Shalva Gagoshidze¹, Manon Kodua¹, Lasha Rurua²

¹Georgian Technical University, Georgia,

²New Technologies and the Environment, P.O., Georgia,

E-mail: sh.gagoshidze@gmail.com; lasharurua@gmail.com

The work supported by Grants: №FR/35/9-120/14 of the Georgian National Science Foundation

Annotation. In the paper we consider from the historical standpoint the measures which were taken to restore the washed-out beach of the port city of Poti. The wash-out occurred because in 1939 the course of the Rioni River was diverted to the north of the Poti port. The theoretical justification is presented for the measure a priori proposed by prof. G. Rurua and consisting in the transportation of alluvia to the washed-out beach via the city channel only in the conditions of the calm sea.

Keywords: shoreline, sediments, water-dividing dam, wave, river stream speed.

Охрана окружающей среды

**О МЕРОПРИЯТИЯХ, ПРОВЕДЕННЫХ ДЛЯ ВОССТАНОВЛЕНИЯ
РАЗМЫТОГО ПОБЕРЕЖЬЯ ГОРОДА ПОТИ**

Шалва Гагошидзе¹, Манон Кодуа¹, Лаша Руруа²

¹Грузинский Технический Университет, Грузия,

²О.О. „Новые Технологии и Окружающая Среда“, Грузия,

E-mail: sh.gagoshidze@gmail.com; lasharurua@gmail.com

Работа выполнена в рамках Грузинского Научного Фонда Руставели №FR/35/9-120/14

Аннотация. В статье в историческом разрезе рассматриваются мероприятия, которые были проведены для восстановления размывтого побережья портового города Потти, обусловленного переброской в 1939 году р. Риони севернее от потийского порта. Приведено теоретическое обоснование мероприятия, предложенного проф. Г. Руруа, которое заключается подкормке наносами размывтого побережья посредством городского канала, лишь в условиях отсутствия волнения на море.

Ключевые слова: береговая линия, наносы, вододелительный гидроузел, волны, скорость речной струи.

საქართველოს საზღვაო პორტებში, ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა

ანა გავარდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, მ. კოსტავა, 77

E-mail: a.gavardashvili@gmail.com

ანოტაცია. საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ საზღვაო პორტებში, ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების დადგენის მიზნით 2016 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში განხორციელებული საველე-სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დადგინდა წყლისა და ჰაერის ფარდობითი ტემპერატურის მნიშვნელობების ცვალებადობა (t_1/t_2), შავი ზღვის წყლის მარილიანობა (TDS) და მჟავიანობა (pH).

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, საზღვაო პორტი, ნავთობსადენის ტერმინალი, წყლისა და ჰაერის ტემპერატურა, მარილიანობა, მჟავიანობა.

შესავალი

ბოლო ათ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის უდიდესი მიღწევაა შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან [1,2].

ზღვებისა და ოკეანეების ზედა შერეული ფენა წარმოადგენს წყლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეს, რომლის თერმოდინამიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მრავალ მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს ზღვა-ატმოსფერულ გარემოში. იგივეს თქმა შეიძლება შავი ზღვის ტურბულენტური შერეული ფენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კვლევის მთავარ საგანს [3].

ცნობილია, რომ შერეული ფენის სიღრმე ძირითადად განისაზღვრება წყლის თვისებების შეფასებებით: ტემპერატურისა და სიმკვრივის (მარილიანობა), მჟავიანობისა და სხვა ძირითადი პარამეტრების დადგენით.

საველე კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საზღვრებში ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა, კერძოდ წყლისა და ჰაერის ტემპერატურის, მჟავიანობისა და მარილიანობის მაჩვენებლების გაზომვა, როგორ სტაციონალურ, ასევე არასტაციონალურ პირობებში [4].

სამეცნიერო კვლევები განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის (საგრანტო პროექტის # DO/75/2-132/14 - „შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა მულტიმედიური ბაზების საფუძველზე“) ფინანსური მხარდაჭერით

2. სველე-სარეკოგნოსცირებო სამეცნიერო კვლევის შედეგები

საქართველოს საზღვაო პორტებში, ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების დადგენის მიზნით 2016 წლის აპრილის, მაისისა და ივნისის თვეებში განხორციელდა სველე-სარეკოგნოსცირებო სამეცნიერო კვლევები, რაც ითვალისწინებდა ჩვენ მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილებში შავი ზღვის წყლის ანალიზის აღებას და მის ლაბორატორიულ გამოკვლევას, როგორ სტაციონალურ, ისე არასტაციონალურ პირობებში [5].

საკვლევი ტერიტორიის სენსიტიური უბნები, ანუ წერტილების მდებარეობა განსაზღვრულ იქნა GPS კოორდინატებით, რომლებიც დატანილ იქნა ციფრულ რუკაზე (სურ. 1), ხოლო სენსიტურ უბნებზე აღებული და გაზომილი იქნა წყლისა (t_1) და ჰაერის (t_2) ტემპერატურები და შავი ზღვის წყლის სინჯები, რომლებსაც ადგილზე და ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდათ კვლევები, რომლის შედეგებიც მოყვანილია ცხრილებში 1,2,3. სურათზე 2 მოცემულია მდინარე ენგურის კალაპოტიდან წყლის სინჯების აღებისა და გაზომვის პროცესი.

ცხრილი 1

საქართველოს საზღვაო პორტებსა და ნავთობსადენის ტერმინალებში შავი ზღვის ეკოლოგიური მაჩვენებლები 2016 წლის 27 აპრილის მონაცემებით

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t_1/t_2)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,91	8,33	12,8
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,86	8,08	6,97
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,90	8,30	11,2
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობ-სადენის ტერმინალი	42038751	41735281	0,83	8,38	12,3
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,87	8,37	13,1
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,83	8,22	6,25
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,78	8,38	12,3
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,87	8,33	13,5
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,78	8,29	10,4
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,78	8,32	9,29

ცხრილი 2


საქართველოს საზღვაო პორტებში და ნავთობსადენის ტერმინალებში შავი ზღვის ეკოლოგიური მარცენებლები 2016 წლის 27 მაისის მონაცემებით

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t ₁ / t ₂)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,79	8,53	12,3
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,76	8,42	11,80
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,78	8,60	6,22
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობ-სადენის ტერმინალი	42038751	41735281	0,94	8,53	10,8
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,58	8,56	12,1
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,58	8,01	6,34
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,89	8,53	5,84
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,78	6,56	7,09
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,92	8,03	10,82
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,89	8,53	5,84

ცხრილი 3

საქართველოს საზღვაო პორტებში და ნავთობსადენის ტერმინალებში შავი ზღვის ეკოლოგიური მარცენებლები 2016 წლის 6 ივნისის მონაცემებით

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t ₁ / t ₂)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,92	8,22	6,60
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,86	8,42	11,80
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,85	8,13	6,15
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობ-სადენის ტერმინალი	42038751	41735281	0,90	8,36	11,67
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,78	7,84	6,37
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,78	8,65	13,34
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,78	8,37	15,12
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,82	7,71	6,76
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,76	8,52	13,45
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,77	8,32	12,67



სურ. 1. შავი ზღვის აკვატორიაში სენსიტიური წერტილის მდებარეობები



სურ. 2. მდ. ენგურზე წყლის სინჯების აღებისა და გაზომვის პროცესი (ანაკლიის მიმდებარე ტერიტორია)

ამრიგად, საქართველოს საზღვრებში ჩატარებული საველე-სამეცნიერო კვლევებისა და წყლის სინჯებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში წყლისა და ჰაერის ფარდობითი ტემპერატურის მნიშვნელობა იცვლებოდა (t_1/t_2) = 0,76 - 0,92, შავი ზღვის წყლის მარილიანობის მნიშვნელობა (TDS) = 5,84 – 15,12, ხოლო წყლის მჟავიანობა კი (pH) = 7,71 – 8,65 საზღვრებში.

ლიტერატურა

1. Bilashvili K., Elizbarashvili M., Tsvitsivadze N. “Sea Ecology”. *Tbilisi State University (TSU) publish house*, 2009, p. 238.
2. Gavardashvili G., Chakhaia G., Diakonidze R., Tsulukidze L., Supatashvili T. “The Results and Analysis of Studies Carried out in 2011 in the Black Sea Water Area within the Boundaries of Georgia” in *Proc. 3rd Bi-annual BS Scientific Conference and UP-GRADE BS-SCENE Project Joint Conference*. Odessa, Ukraine., 2011. p. 205.
3. Gavardashvili A. “The Program Software to Create United Database of Black Sea Ecological Characteristics”. *Collected Papers of Water Management Institute of Georgian Technical University*, vol. 68, Tbilisi, Georgia, 2013, p.p. 27-32.
4. Gavardashvili A. “Results of Field Research in the Black Sea Coast Line within the Borders of Georgia in April 2015” in *Proc. V International Scientific and Technical Conference `Modern Problems of Water Management, Environmental Protection, Architecture and Construction*. Tbilisi, Georgia, 2015, pp. 13-29.
5. Gavardashvili A. Results of the field-and-scientific study in the water area of the estuaries of the major rivers of the Black Sea and sea ports on the territory of Georgia. 17th International conference on Environmental Sciences and Engineering. Paris, France, 2015, pp. 2305-2309.

Охрана окружающей среды

ИССЛЕДОВАНИЕ ЭКОЛОГИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ В ПОРТАХ ЧЕРНОГО МОРЯ, ТЕРМИНАЛАХ НЕФТЕПРОВОДОВ И НА ПРИЛЕГАЮЩИХ К НИМ ТЕРРИТОРИЯХ В ПРЕДЕЛАХ ГРУЗИИ

Ана Гавардашвили

Грузинский Технический Университет

E-mail: a.gavardashvili@gmail.com

Аннотация. С целью определения экологических параметров морских портов, терминалов нефтепровода и прилегающих к ним территорий акватории Черного моря в границах Грузии в 2016 году в весенне-летний период были проведены научно-полевые и лабораторные исследования, на основе которых было установлено, величины относительной температуры воды и воздуха, (t_1/t_2), соленость воды (TDS) и кислотность (pH) Черного моря.

Ключевые слова: Черное море, морской порт, терминал нефтепровода, температура воды и воздуха, соленость, кислотность.

Environmental protection

THE RESEARCH OF BLACK SEA ECOLOGICAL PARAMETERS IN SEA PORTS, ON OIL PIPELINES AND THEIR ADJACENT TERRITORIES IN GEORGIA

Ana Gavardashvili

Georgian Technical University

E-mail: a.gavardashvili@gmail.com

Annotation. With the aim of definition of black sea ecological parameters within borders of Georgia namely, in the black sea ports, oil pipeline terminals and their adjacent territories, the field - scientific and laboratory researchers were carried out during spring summer period of Y 2016. it was defined the relative meaning of water and air temperature (t_1/t_2), the level of salinity - (TDS) and the level of acidity (pH) of the black sea.

Key words: Black sea, sea port, oil pipeline terminal, water and air temperature, salinity, acidity.

სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონში არსებული ღვარცოფსაშიშროება და სტიქიის რეგულირების გზები

გივი გავარდაშვილი, ედუარდ კუხალაშვილი, ირაკლი კვიციანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 60, 0179, თბილისი, საქართველო

E-mail: givi_gava@yahoo.com

ანოტაცია. სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონში განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის ღვარცოფები, რომელთა სახეებიდან აღნიშნულ რაიონში ვხვდებით თითქმის ყველა მათგანს. ჩატარებული კვლევის საფუძველზე განხორციელდა ღვარცოფული მოვლენების შეფასება და მათი გამომწვევი მიზეზები. გამოიკვეთა გამომწვევი მიზეზების ფაქტორები, რომლის საფუძველზეც წყალშემკრებ აუზში ღვარცოფთა რეგულირების მიზნით ჩამოყალიბდა სარეკომენდაციო ძირითადი მიმართულება. ამასთან ერთად, ღვარცოფთა რეგულირების მიზნით შემოთავაზებულია ინოვაციური საიმედო ტიპის საავტორო უფლების მქონე ნაგებობები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში შემოთავაზებულია როგორც ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტების განმსაზღვრელი პარამეტრების, კერძოდ ხარჯის, საშუალო სიჩქარის, ტალღის სიჩქარის, კრიტიკული სიღრმის, დამრტყმელი ძალის საანგარიშო დამოკიდებულებები, ასევე მოცემულია კალაპოტური პროცესების რეგულირების განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

საკვანძო სიტყვები: მდინარე ყაზახი, ღვარცოფი, დევდორაკი, უსაფრთხოება, ნაგებობა.

1. შესავალი

ბუნებრივი კატასტროფებიდან მოსახლეობისა და საინჟინრო ობიექტებისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის ღვარცოფები, რომელთა ტრანსფორმაცია დაფიქსირებულია სტეფანწმინდის მთაგორიანი ადგილების მთისწინეთიდან მთელი ტერიტორიის ყველა გეომორფოლოგიურ ზონაში.

წარმოდგენილ რაიონში ღვარცოფთა სახეებიდან ფიქსირებულია როგორც ეროზიულ-გრავიტაციული სახის, ისე გლაციალური და ბმული ღვარცოფები, რომელთა წარმოშობის მთავარ მიზეზს თავსხმა წვიმები წარმოადგენს.

ხეობაში ღვარცოფის გავლის შედეგებზე ჩატარებული რეკონოსცირებითი სამუშაოებისა და სავლე კვლევების საფუძველზე იკვეთება როგორც ღვარცოფსადინარებში მიმდინარე კალაპოტური პროცესების შესწავლის აუცილებლობა, ასევე ღვარცოფთა რეოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე ისეთი საანგარიშო დამოკიდებულებების გამოყვანა, რომელთა სარეგულაციო ნაგებობასთან ადაპტირებით შესაძლებელი გახდება ახალი ინოვაციური საინჟინრო გადაწყვეტილების სამშენებლო ნორმებისა და წესების შემუშავება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ღვარცოფსაწინააღმდეგო სხვადასხვა მასტაბილიზებული ღონისძიებების, კერძოდ, ყრუ და გამჭოლი კონსტრუქციების შერჩევის

დროს ღვარცოფსადინარების სატრანზიტო ზონებში მიმდინარე ურთულესი პროცესების გამო საკითხი საჭიროებს კომპლექსურად გადაწყვეტას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ღვარცოფთა რეგულირების საკითხი არასაკმარისი მოცულობითა და ხანგრძლივი შუალედებით მიმდინარეობს. ეს ეხება როგორც კალაპოტური ნაგებობების მშენებლობას, ასევე მათ გასაწმენდ სამუშაოებს.

ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების შეფასება და მათი პარამეტრების რაოდენობრივი განსაზღვრა, რომელიც შემდეგ საინჟინრო გადაწყვეტათა განმსაზღვრელ ფაქტორად მოიაზრება, მდგრადი გარემოს დეცენტრალიზებული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია წყალშემკრები აუზის ბუნებრივი ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის დონის ამაღლება.

2. მდინარე თერგის ხეობაში ფიქსირებული ღვარცოფული მოვლენები

სტეფანწმინდის რაიონის წყალშემკრები აუზის მთავარ მდინარეს თერგი წარმოადგენს, რომლის ძირითადი შენაკადებია ამალი, ყაბახი, თებილონი, ჩხერი, ჩხატი, სუათისი, განაისისწყალი, ქესია, რესისწყალი, ყაბახი, ჯირისწყალი-მარცხენა, ესიქომი, არმაზი, არდადონი, ბიდარა, დესისკომიდონი, ხდისწყალი, სნოსწყალი-მარჯვენა. წყალშემკრები აუზის ფართობი 43 000 კმ²-ია და მისი სიგრძე 623 კმ-ის ტოლია.

ხეობის ყველაზე დაბალი წერტილი კლდეკარში 1210 მ-ია ზღვის დონიდან და იგი კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე მდებარეობს. ხეობის ყველაზე მაღალი წერტილი 5033 მ-ზე მდებარეობს. თერგის მორფომეტრია ეროზიულ-აკუმულაციური პროცესებით არის ფორმირებული, რომელთა ფონი მყინვარულ-ვულკანური გრავიტაციული, კასტრული წარმოშობის ფორმებით არის გართულებული. დინება მდინარის უკიდურესად მარჯვენა ზოლში ხდება.

ჩამონადენის გენეტიკური არსიდან გამომდინარე, ზედაპირული ჩამოდინების დაწყებისთანავე შესართავ კვეთში, პირველ რიგში ჩაედინება უშუალოდ მასთან მიმდებარე ელემენტარულ ფართობებზე მოსული ატმოსფერული ნალექი. მოქმედი ფართობის სიგრძე შესართავ კვეთში წყლის ჩამოდინების მომენტიდანვე იწყებს ზრდას, ამ კვეთიდან დაწყებული - ფერდობისაკენ (წყალგამყოფისაკენ). მოქმედი ფართობის (f) ნამრავლი ჩამონადენის კოეფიციენტსა და ნალექების რაოდენობაზე (αp) -ზე, იქნება წყლის ხარჯი ($q=f \alpha p$) შესართავ კვეთში. ამ შემთხვევაში, მოქმედი ფართობის შეფარდებას მთელ წყალშემკრებ ფართობთან ეწოდება ჩამონადენის სისრულის კოეფიციენტი, რომელსაც ჩვენი შემთხვევისათვის შეიძლება ვუწოდოთ ჰიდროგრაფის დარეგულირების კოეფიციენტი, ვინაიდან მთავარი წყალშემკრების მაქსიმალური ხარჯი არასდროს არ უდრის შემდინარეთა წყალშემკრების მაქსიმალური ხარჯების ჯამს და იგი ყოველთვის ნაკლები იქნება (φ) სიდიდით, რომელიც წყალშემკრები აუზის მორფომეტრიულ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

მოქმედი ფართობის განტოლების ზოგადი სახე იქნება:

$$F = aL^m \cdot b$$

სადაც (a) და (m) პარამეტრები განისაზღვრება რომელიმე ცნობილი მეთოდით (საშუალოების, უმცირეს კვადრატთა და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ ფართობის განი (b) მატულობს (L) სიგრძეზე, მაშინ $m > 1$; თუ კლებულობს - $m < 1$; თანაბარი სიგანის შემთხვევაში კი $m = 1$; შესაბამისად, მრუდები: ჩაზნექილი, ამოზნექილი ან სწორხაზოვანი იქნება, რასაც არალოგიკურ შედეგამდე მივყავართ. კერძოდ, როდესაც წყალშემკრების განი ერთი და იგივეა, წყლის ხარჯს ვღებულობთ ერთნაირს, სხვადასხვა (L) სიგრძისა და შესაბამისად, სხვადასხვა წყალშემკრები ფართისათვის. აქედან გამომდინარე, ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების მათემატიკური ასახვა, ანუ ჰიდროლოგიური პროცესების სრული მათემატიზაცია, კარგავს ბუნებრივ არსს. ეს მკაფიოდ ჩანს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დროს, რომელიც საანგარიშო ნალექების ხანგრძლივობას ასახავს (T) და აგრეთვე, ჩამონადენის პროცესის მიმდინარე დროს (t) ბუნებაში სულ სხვადასხვა დატვირთვა გააჩნია და მათი შეკვეცა მათემატიკური ტოლობებიდან გამომდინარე, არალოგიკურობას იწვევს ჩამონადენის პროცესის აღწერასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ წყალშემკრები ფართის (F) ნაცვლად გვექნება მოქმედი ფართობის სიგრძის (L) და სიგანის (b) ნამრავლი ($L \cdot b$); ასევე, თუ წყალშემკრების სათავიდან საანგარიშო კვეთამდე წყალდიდობის ტალღის გარბენის მანძილს (L) გამოვსახავთ გარბენის დროსა (t) და ნაკადის სიჩქარის (v) ნამრავლით ($t \cdot v$), მივიღებთ:

$$F = L \cdot b = t v b$$

საბოლოოდ, წყლის ხარჯის საანგარიშო გენეტიკური ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$Q = \frac{P}{T} tVB\alpha \varphi, \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

სადაც: P საანგარიშო ატმოსფერული ნალექების რაოდენობაა, მმ;

α - ჩამონადენის კოეფიციენტი.

საანგარიშო კვეთამდე წყალშემკრები აუზის სიგრძის (L, კმ), საშუალო სიგანის (B, კმ) და მდინარის დახრილობის (I) განსაზღვრა გაადვილებულია თანამედროვე რუკების (Arc View GIS) გამოყენებით. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ წყალშემკრები აუზის სიგანე (B), რომელიც საერთოდ ტოლია $B=(l_1 + l_2)$, სადაც (l_1) და (l_2) მარცხენა და მარჯვენა ფერდობების სიგრძეა, რუკაზე გაზომვის შემთხვევაში, ამ სიდიდეების პირდაპირი შეკრება დიდ ცდომილებას მოგვცემს, თუ გათვალისწინებული არ იქნა ფერდობების დახრილობათა მნიშვნელობები (მით უმეტეს, მთის მდინარეების პირობებში).

აღნიშნული პირობის გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოთვლებისა და გაანალიზებების საფუძველზე, მიღებულ იქნა წყალშემკრები აუზის საანგარიშო სიგანე:

$$B = b + 2H i^{0.07}$$

სადაც: b რუკაზე გაზომვით მიღებული წყალშემკრები აუზის სიგანეა (წყალგამყოფ ხაზებს შორის მანძილი);

H - ხეობის სიღრმე (სიმაღლეთა სხვაობა მდინარის ფსკერიდან ფერდობის წვერამდე);

i - ფერდობის ქანობი (აღნიშნულ სიმაღლეთა სხვაობა გაყოფილი ფერდობის სიგრძეზე).

ლიტერატურა

1. გ. ტულუში, ჯ. ფანჩულიძე, პ. ტულუში. ატმოსფერული ნალექების ზედაპირული ჩამოდინების სისრულისა და დაგვიანების კოეფიციენტების ცვალებადობის კანონზომიერებები. საუ-ს შრომები „საინჟინრო ეკოლოგიის საკითხები ჰიდროტექნიკურ მელიორაციაში“, თბილისი, 1996;
2. ჯ. ფანჩულიძე. მაქსიმალური ჩამონადენის განსაზღვრის სრულყოფის პრინციპები და გაანგარიშებათა მეთოდოლოგია დამშრობი სისტემებისათვის. საუ-ს შრომები „საინჟინრო ეკოლოგიის საკითხები ჰიდროტექნიკურ მელიორაციაში“, თბილისი, 1996;
3. ც. ბასილაშვილი, ჟ. მამასახლისი, ჯ. ფანჩულიძე. წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების გრძელვადიანი პროგნოზირება რთული ჰიდროლოგიური რეჟიმის პირობებში. საუ-ს შრომები „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, თბილისი-ერევანი, 1999;
4. Д. Л. Соколовский. Речной сток. Л. Гидрометеиздат, 1968.

THE PRINCIPLE OF RIVER CATCHMENT BASIN AREA DETERMINATION ON THE BACKGROUND OF CALCULATION MAXIMAL RUNOFF WITH MODERN METHODS

J. Phanchulidze, R. Diakonidze

Ts.Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University
60, Chavchavadze ave. 0179, Tbilisi, Georgia
E-mail: jumber.panchulidze@gmail.com

Annotation. In the article is given determination principle for precise catchment basin area as one from the main factor of runoff formation by using of modern methods.

Keywords: catchment basin; maximal runoff; calculating cut; average width of catchment.

ПРИНЦИП ОПРЕДЕЛЕНИЯ ПЛОЩАДИ ВОДОСБОРА РЕКИ НА ФОНЕ СОВРЕМЕННЫХ МЕТОДОВ РАСЧЕТА МАКСИМАЛЬНОГО СТОКА

Д.Н. Панчулидзе, Р.В. Диаконидзе

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
Пр. И. Чавчавадзе 60, 0179, г. Тбилиси, Грузия
E-mail: jumber.panchulidze@gmail.com

Аннотация. В статье рассмотрен принцип уточненного определения величины водосборной площади - одного из основных факторов формирования стока, с использованием современных методов (Arc View).

Ключевые слова: водосборная площадь; максимальный сток; расчетный створ; средняя ширина водосбора.

ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ОЦЕНКА АНТРОПОГЕНИЗАЦИИ ЛАНДШАФТОВ АРИДНЫХ РАВНИН АЗЕРБАЙДЖАНА

Я.А. Гарибов, Г.Б. Ахмедова, Н.Р. Эфендиева

Бакинский Государственный Университет
ул.Захида Халилова 23, Баку, AZ 1148, Азербайджан
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru, eyyubbeyli.gulnare@mail.ru

Аннотация. В данной статье рассматриваются особенности регулирования ирригационных агроландшафтов в районах республики Азербайджан. На основе коэффициента антропогенности были отмечены отдельные категории ландшафтов Кура-Араксинской низменности.

Ключевые слова: антропогенизация, агроирригационные ландшафты, мелиорация, оптимизация, агротехника.

ВВЕДЕНИЕ

Группировка естественных ландшафтов по степени антропогенного изменения имеет особое научное и практическое значение. Учитывая особенности регионов нашей Республики и направление антропогенных влияний мы выделили 5 групп ландшафтов по степени антропогенности: 1) практически неизменные; 2) слабо антропогенизированные; 3) средне антропогенизированные; 4) сильно антропогенизированные и 5) комплексы трансформированные коренным образом. При выделении данных комплексов нами выведена формула коэффициента антропогенности:

$$K_a = \frac{\sum AL}{\sum TL},$$

где $\sum AL$ - суммарная площадь антропогенных ландшафтов, $\sum TL$ - суммарная площадь естественных ландшафтных комплексов (3).

Используя указанный коэффициент, определяется суммарная площадь естественных и антропогенных комплексов (сады, пашня, сенокосы, плантации, селитебные комплексы, каналы, дороги, электрические линии, линии связи, трубопроводы и др. инфраструктуры) в пределах каждого типа и подтипа ландшафтов, затем площадь антропогенных ландшафтов (AL) делится на суммарную площадь естественных комплексов (TL). Если степень антропогенности меньше 0,1, то эти комплексы являются практически неизменными, 0,1-0,2 -слабоизмененными, 0,2-0,5 - среднеизмененными, 0,5-0,8 - сильно измененными, свыше 0,8 -коренным образом трансформированными.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Исследования показывают, что антропогенизация K_a отдельных типов, подтипов и видов ландшафтов Кура-Араксинской низменности в связи с освоением новых территорий постоянно возрастает. В орошаемых оазисах и на селитебных участках юго-западной и юго-восточной частей Муганской равнины, северной и северо-западной частей Ширванской равнины K_a достигает 0,86-0,91. Но средний показатель K_a по отдельным типам ландшафтов не превышает 0,80. В центральной части Муганской, Мильской и восточной части Ширванской равнины в прибрежных зонах Каспийского моря K_a составляет не более 0,01-0,10. Вообще K_a в более 50% видах ландшафтов Кура-Араксинской низменности превышает 0,80, а примерно в 20% – ниже 0,10.

В результате полевых и камеральных исследований установлено, что для создания экологически устойчивых ландшафтов в высокоосвоенных регионах Азербайджана необходимо установить антропогенную нагрузку. С этой целью нами составлены крупномасштабные ландшафтные карты с учетом антропогенных нагрузок, где выделено более 100 вариаций разного уровня. При выделении отдельных единиц ландшафта учитывались комплексные экологические условия, в частности, гранулометрический состав и фильтрационная способность почвогрунтов, уровень и степень минерализации грунтовых вод, мощность агроирригационных наносов, искусственное расчленение поверхности, характер возделываемых культур.




Рис. 1. Карта антропогенезации естественных ландшафтов Муганской, Сальянской, Юго – Восточно – Ширванской равнин (составил: Я. А. Гарибов) масштаб 1:340 000

В сильно антропогенезированных комплексах обычно формируются устойчивые агроландшафты. На Карабахской, Мильской, Муганской, и Ширванской равнинах сухостепенные бородачевые, злаковые, эфемеровые, разнотравные комплексы под влиянием орошения и фитомелиорации приобретают гидроморфные признаки.

На древнеорошаемых участках конусов выносов и в межконусных понижениях рек: Турианчай, Геокчай, Гирдиманчай, Тертерчай, Хачинчай, Карачай на месте светло-каштановых, сероземных, сероземно-луговых и других почв формируются культурно-гидроморфные почвы. В агроландшафтах вместе с одновидовыми агроценозами развиваются вторичные негофильные и галофитные сообщества.

На орошаемых массивах, особенно в бессточных понижениях и котловинах, где зеркало грунтовых вод находится близко к поверхности (более 1,5 м) и имеет слабый отток, происходит заметное переувлажнение, осолонцевание, соленакопление, что в конечном итоге увеличивает

гидроморфизацию агроландшафтов, а на естественно дренируемых участках, особенно предгорных наклонных равнинах, где почвогрунты имеют высокую фильтрационную способность, формируются устойчивые агроландшафты с мощными агроирригационными горизонтами.

На Кура-Араксинской низменности с запада на восток мелиоративные условия резко изменяются: усиливается аридизация ландшафтов. В полупустынных ландшафтах Ширванской равнины в этом же направлении коэффициент антропогенизации уменьшается с 0,53- 0,65 до 0,17-0,33, а в Мугано-Сальянском массиве- с 0,77-0,86 до 0,01-0,03 (3).

Всесторонний анализ современных аридных ландшафтов Азербайджана показывает, что в неустойчивых интразональных, лугово-болотных, лесо-кустарниковых комплексах, а также на полупустынных и сухостепных, малопродуктивных пастбищах и пашне при современном хозяйственном использовании наблюдается снижение природных потенциалов и ухудшение структуры ПТК, что выражается в формировании многочисленных мелкоконтурных модификаций ландшафтов антропогенного происхождения. Поэтому, здесь антропогенная трансформация типов местностей должна способствовать созданию оптимально управляемой природно-хозяйственной системы.

Анализ ландшафтно-мелиоративных условий орошаемых регионов Кура-Араксинской низменности показывает, что мелиоративные условия здесь крайне неблагоприятны и обусловлены значительной площадью засоленных почв тяжелого механического состава с низкими фильтрационными свойствами. К антропогенным факторам, ухудшающим мелиоративную обстановку, относятся неудовлетворительное состояние ирригационной сети, неспланированность орошаемых участков, чрезмерная протяженность необлицованных каналов и т.д.



Рис. 2. Антропогенная трансформация сухих степей (а) и степей (б, с): антропогенизация полынно-злаковых, полынно-бородачево-эфимеровых, сухих степей-0,5-0,8; полынно-кустарниковых сухих степей конусов выноса- 0,3-0,5; разнотравно-кустарниковых -0,8; речных террас, наклонных равнин -0,8; редколесных степей наклонных равнин - 0,85; редколесно-кустарниковых степей наклонных равнин - 0,78

В аридных регионах Азербайджана и, в частности, Кура-Араксинской низменности устойчивые агрофизические свойства почвогрунта и высокое плодородие наблюдаются под тутовниками, виноградниками и лесными насаждениями. Это объясняется заметным накоплением в них органического вещества, мощным развитием биомассы. Особенно в предгорных наклонных равнинах, в естественно-дренируемых участках, где почвогрунты имеют высокую фильтрационную способность, формируется своеобразный агроирригационный горизонт. Мощность этого горизонта определяется не только природно-хозяйственными условиями, но и давностью орошения. Исследования показывают, что на основных агроландшафтах Муганской, Мильской, Ширванской и Гарабахской равнин самые благоприятные условия в формировании и развитии экологически устойчивых агрокомплексов создаются на незасоленных почвогрунтах (уровень грунтовых вод-более 1,5 м) при содержании водопрочных макроагрегатов (более 0,25 мм) около 60-80%, микроагрегатов (менее 0,25 мм) около 30-40% при влагоемкости (от максимальной молекулярной до полевой) около 1,0-1,5 г/см³. В аридных условиях, с целью улучшения и урегулирования агрофизических свойств почвогрунта, а также повышения эффективности мелиорации засоленных и солонцеватых почв тяжелого механического состава, необходимо повышать водопрочность почвогрунта, способность к накоплению и сохранению почвенной влаги путем обработки в период физической спелости и промывки засоленных участков, создавать систему защитных лесных полос и вводить почвенные севообороты, регулировать применение минеральных и химических удобрений, широко распространять противоэрозионные мероприятия и химическую мелиорацию, направленную на борьбу с процессом засоления почв.

Обработка многочисленных данных показывает, что продуктивность агроирригационных ландшафтов во многом зависит от нормального обеспечения орошаемых полей зелеными насаждениями. На Ширванской равнине каждые 100 га агроландшафта имеют в среднем 0,07 га, а в Муганской и Сальянской степях, а также в Юго-Восточной Ширвани-0,04-0,05 га лесных полос. В отдельных массивах Кура-Араксинской низменности и в других аридных регионах республики этот показатель колеблется в пределах 0,01-0,11 га. В полупустынных и сухостепных агроландшафтах для сохранения относительного равновесия между естественными и искусственными биоценозами необходимо увеличить существующие площади лесных полос в 10-15 раз, а в богарно-земледельческих массивах- в 3-5 раза. По нашему мнению, на каждые 100 га пахотных земель следует создать минимум 1,2-1,5 га лесных полос.

Вдоль рек Кура и Аракс целесообразно создать большие массивы гранатных и инжировых плантаций шириною 800-1000 м, а в береговых зонах Мингечаурского водохранилища в рекреационных целях-лесопосадки, состоящие из декоративных пород.

В аридных условиях Азербайджана формирование агроирригационных ландшафтов во многом зависит от степени искусственного увлажнения. Именно этот фактор определяет основные тенденции эволюции оазисных ландшафтов. За последние 20 лет площадь интенсивно используемых ландшафтов Кура-Араксинской низменности увеличилась в 2,5 раза, соответственно площадь нерегулярно используемых ландшафтов значительно уменьшилась. Благодаря благоприятным условиям и плодородным почвам эти категории давно освоены, что привело к сильной антропогенности естественных сухостепных, полупустынных, чально-лугово-болотных ландшафтов. Коэффициент антропогенности (K_a) отдельных типов ландшафта здесь составляет около – 0,8- 0,9.

Интенсивно используемые агроландшафты с момента своего формирования превращаются в управляемую систему и находятся под регулярным воздействием человека. Ежегодные распашки, боронование, корчевка, орошение, внесение органических и минеральных удобрений, сенокосение и т.д. обновляют вторичные фитоценозы, возникает мощный агроирригационный горизонт (0,5-1,5м), а

также ряд таких нежелательных процессов, как ирригационная эрозия, вторичная засоленность и заболоченность (3).

В неблагоприятных мелиоративных условиях Кура-Араксинской низменности под влиянием осушения, промывки, орошения, а также дорожно-коммуникационных и градостроительных работ в пределах интенсивно-используемых агроландшафтов формируются вторичные природно-антропогенные ландшафты (1). По морфолого-типологическим признакам они напоминают первичные доминантные ландшафты, существующие здесь до освоения (болотные, лугово-болотные, солончаковые и т.д.). В орошаемых оазисах Ширванской, Муганской, Мильской равнин ареал их распространения не превышает 30-50 га и постоянно находится под контролем человека. В связи с проведением мелиоративных мероприятий они часто меняют свои ареалы. В дренируемых (особенно открытых) участках эти комплексы почти полностью исчезают.

ВЫВОДЫ

На орошаемых агроландшафтах Муганской, Ширванской, Гарабахской, Мильской равнин и Юго-Восточной Ширвани годовая амплитуда колебания уровня грунтовых вод достигает 1,5-2,0 м, а в неорошаемых полупустынных- не превышает 0,5м.

В высоко-антропогенизированных (Ка > 0,80) сухостепных, аридно-редколесных, лесокустарниковых, полупустынных ландшафтах предгорных, низменных, низкогорных районов Азербайджана под влиянием орошения, распашки, фитомелиорации формируются разнообразные вариации агротехногенного происхождения. Развитие природных элементов ландшафтов более-менее продолжается только в узких приканальных и приречных полосах. Здесь на волнистых, холмисто-рядовых, сильнорасчлененных равнинах каштановые, сероземные, луговые, сероземно-луговые, серо-бурые и др. почвы приобретают гидроморфные признаки, и формируются мощные агроирригационные горизонты.

Установлено, что изменение режима и характера грунтовых вод в смежных агроландшафтах Мильской, Муганской, Ширванской равнин усиливает трансформацию естественных ландшафтов. На древнеорошаемых частях конусов выноса и межконусных понижениях рек: Турианчай, Гейчай, Гирдыманчай, Тертер, Ахсу, Кенделанчай и др. искусственное увлажнение почвогрунта усиливает гидроморфизацию ландшафта. На месте сероземных, сероземно-луговых, светло-каштановых, сероземно-бурых и др. почв образуются культурно-гидроморфные почвы, вместе с одновидовыми агроценозами развиваются вторичные сорные заросли, состоящие из негофильных и галофитных сообществ.

ЛИТЕРАТУРА

1. **Будагов Б.А., Гарибов Я.А.** Влияние антропогенных факторов на формирование ландшафтов Азербайджанской ССР. Докл. АН Азерб. ССР, 1980, т XXXVЫ, №2.
2. **Будагов Б.А.**, Современные естественные ландшафты Азербайджанской ССР, Баку, «Элм», 1988. 137 с.
3. **Гарибов Я.А.**, Антропогенная трансформация естественных ландшафтов Азербайджана. Баку «Марс Принт», 2011, 286 с.
4. **Гарибов Я.А., Н.С.Исмаилова.** Влияние орошения на формирование агроирригационных ландшафтов северо-восточного склона Юго-Восточного Кавказа. Вестник Бакинского Университета, серия ест. наук №3, Баку, 2007.
5. **Исаченко А.Г.** Прикладное ландшафтоведение ЛГУ им. А.А. Жданова: Изд-во Ленинградского ун-та, Ленингра, 1976.
6. **Мусеилов М.А.** Ландшафты Азербайджанской Республики. Баку, изд. БГУ, 2012, 152 с.

აზერბაიჯანის არიდული ვაკეების ლანდშაფტების ანთროპოგენიზაციის
ეკოლოგიური შეფასება

ღარიბოვი ი.ა., ახმედოვა გ.ბ., ეფენდიევა ნ.პ.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზ.ხალილოვის ქ. 23, 1148, ბაქო, აზერბაიჯანი
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru, eyyubbeyli.gulnare@mail.ru

ანოტაცია. სტატიაში განხილულია აზერბაიჯანის საირიგაციო აგროლანდშაფტების რეგულირების თავისებურებანი. ანთროპოგენური კოეფიციენტის საფუძველზე აღნიშნული იყო მტკვარი-არაქსის დაბლობის ლანდშაფტის სხვადასხვა კატეგორიები.

საკვანძო სიტყვები: ანთროპოგენიზაცია, აგროსაირიგაციო ლანდშაფტები, მელიორაცია, ოპტიმიზაცია, აგროტექნიკა.

Earth sciences

ENVIRONMENTAL ASSESSMENT ANTROPOGENIZATION OF LANDSCAPE
OF THE ARID PLAINS OF AZERBAIJAN

Y. Qaribov, G. Axmadova, N. Efendiyeva

Baku State University
23, Z.Halilov Street, AZ 1148, Baku, Azerbaijan
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru, eyyubbeyli.gulnare@mail.ru

Annotation. Peculiarities of regulation of agrolandscapes in Azerbaijan, in particular in irrigation regions of the republic, are considered in the given article. Specifically, within the Kura-Araz lowland separate categories of landscapes have been distinguished on the basis of the anthropogenic coefficient.

Keywords: antropogenization, agroirrigation landscapes, reclamation, agrotechnics, optimization.

ИЗУЧЕНИЕ АГРОИРРИГАЦИОННЫХ ЛАНДШАФТОВ КУРА – АРАКСИНСКОЙ НИЗМЕННОСТИ РЕНТГЕНОДИФРАКТИЧЕСКИМ МЕТОДОМ

Я.А. Гарибов, Н.С. Исмаилова

Бакинский Государственный Университет
ул.Захида Халилова 23, Баку, AZ 1148, Азербайджан
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru; nigar2272@mail.ru

Аннотация. В статье анализируется урегулирование трансформации различных единиц современных орошаемых ландшафтов, а также планомерное создание агроирригационных, садово-плантационных и богарно-земледельческих ландшафтов., путем оптимизации хозяйственной нагрузки в агроирригационных комплексах, улучшения мелиоративной обстановки высокоосвоенных регионов Азербайджанской республики.

Ключевые слова: агроирригационные ландшафты, мелиорация, агротехника, рентгенодифрактометрический анализ, дифрактограмма, оптимизация.

ВВЕДЕНИЕ

В различных естественных ландшафтах Азербайджанской республики, планомерное создание агроирригационных, садово – плантационных и богарно – земледельческих ландшафтов, имеет огромное значение. До сих пор многие вопросы формирования, функционирования, а также урегулирования агроирригационных ландшафтов в различных экологических условиях республики, не изучено. Это относится особенно к орошаемым регионам республики, где во многих ландшафтах мелиоративная обстановка чрезмерно неблагоприятна, поэтому без учета данного обстоятельства, невозможно рациональное планирование и урегулирование различных агроирригационных ландшафтов.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Урегулирование трансформации современных орошаемых ландшафтов очень длительный и сложный процесс, охватывающий большой комплекс оздоровительных и мелиоративных процессов. Широкое ирригационное строительство и быстрое увеличение орошаемых площадей в Азербайджанской Республике делает особенно актуальным изучение данного вопроса. Особенно важным представляется влияние орошения на ландшафтообразовательные процессы, поскольку они в конечном счете определяют режим почвы, возможность ее засоления или заболочения.

В результате анализа гумуса, механического состава, водно-физических и химических свойств различных почв, а также грунтовых, канальных и речных вод Кура-Араксинской равнины установлены основные тенденции формирования и развития агроирригационных ландшафтов.


На основе рентгенодифрактометрического метода анализировано формирование и функционирование агроирригационных ландшафтов в предгорных равнинных регионов Юго-Восточного Кавказа в пределах Азербайджана [3].

Оросительная вода, увеличивая влажность почвы и принося с собой растворимые и взвешенные вещества, оказывает существенное влияние на характер почвенных процессов и образует агроирригационный горизонт (культурно-поливных) ландшафтов[2].

С помощью рентгенодифрактометрического метода изучен минерально-кристаллический состав оросительных вод и взвешенных наносов в мутных реках и каналах Кура-Араксинской

низменности, других наклонных равнин Юго–Восточного Кавказа, а также – их влияние на формирование агроирригационных ландшафтов [5].

Для анализа оросительных вод и взвешенных наносов образцы были взяты из р. Самур, Турианчай, Геокчай, Ахсу, Гусарчай, Гарачай, Гудиалчай, Агчай, Вельвеличай и др, Верхне–Карабахского и Верхне–Ширванского канала, а также из 3-х постов Самур-Абшеронской оросительной системы. Анализы проводились в Аналитическом центре Института геологии НАН Азербайджана в рентген-аппарате ДРОП-II. Для каждой реки составлены отдельные дифрактограммы [3], где указаны цифрами расстояния между плоскостями атомов кристаллической решетки минералов (рисунки 1, 2, 3).



этих источников слабо минерализованны (0,25–0,48 г/л), преимущественно гидрокарбонатные, относительно богаты кальцием. В минералогическом составе преобладают мусковит, кварцит, каолинит, кальций, аморфные структуры (Al_2O_3 , Si_2O_5) и др. Поэтому, в данном районе почвообразующие породы состоят из аллювиально-делювиальных карбонатных суглинков, подстилаемым на глубине 2,5–3,0м, аллювиально-пролювиальными мелкоземисто-галечниковыми отложениями.


Мутность поливных вод Турианчая, Геокчая, Гусарчая, Гудиалчая, Гарачая, Самура колеблется в пределах 2000–4000 г/м³, а Атачая, Гилгильчая, Шабранчая, Тахтакерпучая – 400–1000 г/м³ в год.

Ирригационные наносы данного района достаточно богаты питательными элементами и минералами. По нашим анализам они содержат в среднем 0,21–0,34 мг/л гумуса (или 1,25–1,85%), 0,28–0,34 мг/л валового азота (или 0,08–0,12%) 129–182 мг/л обменного калия.

Нами рассчитаны количества питательных элементов во взвешенных наносах, поступающие на орошаемую территорию Кура-Араксинской и Самур-Девичинской низменности. На орошаемое поле поступает в среднем 280–350 кг/га гумуса, в том числе 0,96 кг/га воднорастворимого гумуса, валового азота 18–24 кг/га, подвижного фосфора 0,30–0,53 кг/га, карбонатов 900–1100 кг/га, обменного калия 6,50–7,76 кг/га.

На орошаемые поля с поливными водами ежегодно поступают 2,35–2,80 т/га солей, преимущественно гидрокарбонатно-сульфатного состава [3].

Установлено, что на Самур-Девичинской равнине почвы разной давности орошения четко отличаются друг от друга по механическому составу, количеству гумуса, фосфора, азота, калия. Под влиянием длительного орошения мутными водами, ежегодной обработки в морфологии агроландшафта произошли глубокие изменения. Давно орошаемые серобурые, сероземно-бурые, сероземно-луговые и др. почвы имеют больше фракции ила и глины и содержат гумуса в 0,80 см слое в два раза больше, чем целинные (рисунок 4,5).






Рис.4. Физико – химические особенности лугово – лесных слабо карбонатных (1) и лугово – лесных слабо – карбонатных орошаемых (2) почв.




Рис. 5. Физико – химические особенности лугово – сероземных (1) и лугово – сероземно-орошаемых (2) почв

ЛИТЕРАТУРА

1. Будагов Б.А. Современные естественные ландшафты Азербайджанской ССР. «Элм» 1988, 136 с.
2. Гарибов Я.А., Исмаилова Н.С. Влияние орошения на формирование агроирригационных ландшафтов северо-восточного склона Юго-Восточного Кавказа // Вестник Бакинского Университета, серия ест. наук. – №3. – Баку, 2007. с. 161- 165
3. Гарибов Я.А., Исмаилова Н.С. Антропогенная нагрузка на равнинные ландшафты Азербайджана // Тр. Географического общества Дагестана. Вып. 37. – Махачкала, 2009. – с. 19–22.
4. Гарибов Я.А., Исмаилова Н.С. Рентгенодифрактометрический анализ речных вод северо-восточного склона Большого Кавказа и их влияние на формирование агроирригационных ландшафтов // Вопросы географии и геоэкологии Казахстана. – №2. – Алматы, 2008. – с. 60–63.
5. Мусеинов М.А. Ландшафты Азербайджанской Республики - Баку.6 – Изд-во БГУ, 2013. 151 с.

Earth sciences

THE STUDY OF AGROIRRIGATION LANDSCAPE OF THE KURA - ARAZ LOWLAND BY RENTGENDIFRAKTOMETRIC METHOD

Y. Qaribov, N. Ismayilova

Baku State University
23, Z.Halilov Street, AZ 1148, Baku, Azerbaijan
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru; nigar2272@mail.ru

Annotation. The article analyzes the transformation of the settlement of the various units of modern irrigated landscapes and the systematic creation agroirrigationnyh, garden and plantation-and rainfed agricultural landscapes., Through the optimization of the economic burden in agroirrigationnyh complexes, amelioration of the situation highly assimilated regions of Azerbaijan Republic.

Keywords: agro-irrigation landscapes, reclamation, agrotechnics, rentgenodifraktometric analysis, diffractogram, optimization.

დედამიწის მეცნიერებები

მტკვარი-არაქსის დაბლობის აბრიორიზაციული ლანდშაფტების შესწავლა რენტგენოდიფრაქტომეტრიული მეთოდით

ღარიბოვი ი., ისმაილოვა ნ.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზ.ხალილოვის ქ. 23, 1148, ბაქო, აზერბაიჯანი
E-mail: yaqub.qaribov@mail.ru; nigar2272@mail.ru

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე სარწყავი ლანდშაფტების ტრანსფორმაციის რეგულირება, ასევე სასოფლო-სამეურნეო, საბაღე-პლანტაციური და აგროსაირიგაციო ლანდშაფტების გეგმიური შექმნა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ათვისებულ რეგიონებში მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება, აგროსაირიგაციო კომპლექსებში სამეურნეო დატვირთვის ოპტიმიზაციის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: აგროსაირიგაციო ლანდშაფტები, მელიორაცია, აგროტექნიკა, რენტგენოდიფრაქტომეტრიული ანალიზი, დიფრაქტოგრაფია, ოპტიმიზაცია.

BIOLOGICAL PURIFICATION SYSTEMS OF WATER

Marine Shavlakadze, Shorena Kupreishvili, Tamriko Supatashvili

Ts. Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University

E-mail: marishavlakadze@gmail.com

Annotation. Water purification and treatment systems are relevant for fresh drinking water, wastewater treatment and other uses. In most cases, a water purification using organisms system will be in the form of a natural wetland, green basin or lake. Key factors in controlling biofilter performance include temperature, contact time, backwash operations, and water quality parameters like pH, alkalinity, turbidity, and BDOC.

Keywords: purification systems, water, Biological filters.

INTRODUCTION

Water purification and treatment systems are relevant for fresh drinking water, wastewater treatment and other uses. The variety of methods that exist to treat water and improve its quality are used globally today in a very widespread manner – not only in large scale water treatment plants, but also in private domestic use with small designated systems. Water purification using organisms is a great natural method to treat mainly used water.

Implementation of purification, which uses organisms, is well known and operates in practice for many years. Principals of the method are natural and occur in nature all the time regardless of human intervention. However, application of this type of biological water treatment method is becoming more known and also more common due to the overall understanding that mankind needs to search for more sustainable and ecological ways to live treat our waste and co-exist with other systems on the planet [1].

In most cases, a water purification using organisms system will be in the form of a natural wetland, green basin or lake; it is also possible to keep the system in a regular treatment pool or reservoir site or even specially designed tanks. The most common way by wetland will either be a constructed wetland that is built specifically to be a purification using organisms system or an existing environment, where water purification takes place – It can also be water to improve or support and existing eco-system or water environment.

THE MAIN PART

All participants in the purification using organisms' process act together and live as a living, breathing and changing eco-system. The process is natural and basically involves chemicals free disinfectants; it can include a filtration process to maximize the results.

Bacteria colonies develop independently and of course are encouraged; these bacteria “eat” various contaminants and also remove the sludge from the bottom of the wetland.

A common method of disposing pollutants in wastewaters. In the process, large quantities of air are bubbled through wastewaters that contain dissolved organic substances in open aeration tanks. Bacteria and other types of microorganisms present in the system need oxygen to live, grown, and reproduce in order to consume the dissolved organic "food" or pollutants in the waste. After several hours in a large holding tank, the water is separated from the sludge of bacteria and discharged from the system. Most of the activated sludge is returned to the treatment process, while the remainder is disposed of by one of the several acceptable methods [2].

Biological filters remove contaminants by three main mechanisms: biodegradation, adsorption of micropollutants, and filtration of suspended solids. The microbial growth attached to the filter media (biofilm) consumes the organic matter that would otherwise flow through the treatment plant and ultimately into the distribution system. The end products are carbon dioxide, water, biomass, and simpler organic molecules. Particle filtration takes place on the bare filter media as well as the biofilm. In biofilters used for biological denitrification, nitrate is converted to nitrogen. In this case, microorganisms are fed a form of carbon, and they use nitrate as an electron acceptor in place of oxygen. Granular activated carbon (GAC) is often used to provide the necessary surface to promote the development of the biofilm.

The conventional treatment overview discusses coagulation, flocculation and clarification preceding biofiltration [3].

Biofiltration is often used by systems that use ozone as adding a strong oxidant converts some of the total organic carbon (TOC) to biodegradable dissolved organic carbon (BDOC). To promote biological activity ozone is added upstream to the filter beds. Ozone may be applied prior to the rapid mix. It may also be applied to prior to the biofilter.

Biologically active carbon filters are typically used in place of conventional filtration, as a biologically active layer in dual media filters, or downstream of conventional (or membrane) filters. In the first configuration, conventional filter media is replaced with activated carbon which performs biodegradation and particle removal. In the second configuration, the top layer (activated carbon) of a dual media filter provides biodegradation and some particle removal and additional particle removal is achieved in the sand layer. In the third configuration, particle removal is achieved by the conventional (or membrane) filter and the biologically active GAC column is used as a polishing step.

In all cases, filter sloughing can be a problem leading to possible taste and odor problems and release of bacteria in the finished water. This problem is of greater concern for smaller systems that use biofilters for denitrification, and may compromise proper secondary disinfection.

Key factors in controlling biofilter performance include temperature, contact time, backwash operations, and water quality parameters like pH, alkalinity, turbidity, and BDOC. The water quality parameters impacting performance are the pH and BDOC and dissolved oxygen concentrations. In particular, temperature controls bio growth kinetic. Biological activity is high during the summer when the temperature is above 20°C and decreases during the cooler months with relatively insignificant activity during the winter (10°C and below). Filter loading rates are similar to those used in rapid sand filtration (2 to 4 GPM/SF) [4].

Pretreating the water to prevent fouling of the GAC and controlling microbial activity are other important aspects of biological filtration. High concentrations of calcium carbonate can lead to the blockage of GAC pores. Iron and manganese deposits may also adversely affect adsorption. If the ammonia concentration is high, pretreatment should be used to reduce it. Lastly, the system must be kept aerobic to avoid taste and odor problems, and proper controls should be implemented to ensure that the oxygen supply is sufficient at all times.

CONCLUSION

In short what is happening in a trickling filter is the following:

- dissolved organic matter is mineralized;
- Particulate organic matter and colloids are either converted into dissolved organic matter and then mineralized, or are adsorbed onto the bio-film and removed from the water as settleable flocks;
- Inorganic matter, particulate, colloidal or dissolved can react with or be adsorbed onto the bio-film and can thus be removed with the flocks.




Fig.1. Biofiltration as a treatment technology in water and wastewater purification

BIBLIOGRAPHY

1. <http://www.puwater.com/tag/biological-methods/>
2. **J.D. van der Toorn** (1987) A biological approach to water purification: I. Theoretical aspects
From: Aquatic Mammals **13(3)**: 83-92 http://rosmarus.com/WtTheory/WtTh_2.htm
3. <https://iaspub.epa.gov/tdb/pages/treatment/treatmentOverview.do?processId=1174340674>
<https://www.google.ge/search?biw=1366&bih=623&tbm=isch&sa=1&q=water+Bio+filtration+use>

გარემოს დაცვა

წყლის ბიოლოგიური გაწმენდის სისტემები

მარინე შავლაყაძე, შორენა კუპრეიშვილი, თამრიკო სუპატაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

E-mail: marishavlakadze@gmail.com

ანოტაცია. წყლის გამწმენდი და გასაწმენდი სისტემები, რომლებიც განკუთვნილია სასმელი და ჩამდინარე წყლებისათვის, აგრეთვე სხვა მიზნებისათვის. ძირითად შემთხვევაში, წყლის ბიოლოგიური გასუფთავების სისტემა იქნება განპირობებული ბუნებრივი ჭაობით, მწვანე აუზით ან ტბით. გასუფთავების ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოლოგიური ფილტრის მოქმედებას, წარმოადგენს: ტემპერატურა, მოქმედების დრო, წყლის ნაკადი და წყლის ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრები, როგორცაა: pH, ტუტეობა, სიმღვრივე და ბიოდეგრადირებადი გახსნილი ორგანული ნახშირბადი.

საკვანძო სიტყვები: გამწმენდი სისტემები, წყალი, ბიოლოგიური ფილტრები.

გარემოს დაცვა

მდ. ნაკრას აუზის ქვედა დინების გეოდინამიკური მდგომარეობა და სოფ. ნაკრას მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების კატასტროფული ხასიათის მეწყერულ-ღვარცოფული პროცესებისგან დაცვის პრევენცია

**ემ. წერეთელი^{1,3}, გ. გავარდაშვილი^{2,4}, ი. ჩხეიძე³, ლ. წულუკიძე^{2,4},
გ. გაფრინდაშვილი^{1,3}, დ. ეგიაზაროვა³**

¹ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელობის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტი;

² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;

³ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

E-mail: givi_gava@yahoo.com

⁴ ააიპ გარემოს დაცვის ეკოცენტრი

ანოტაცია. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მდ. ნაკრას აუზში ამავე სახელწოდების სოფლის მოსახლეობისა და მისი ინფრასტრუქტურის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების დღევანდელი სიტუაციის შეფასება და სათანადო პრევენციული ღონისძიებების დასახვა.

კატასტროფული ხასიათის ღვარცოფებისა და მეწყერულ-გრავიტაციული პროცესების ექსტრემალური ხასიათის პერიოდული გააქტიურება განპირობებულია გეოლოგიური გარემოს ჰიპერ-სენსიტიური თვისებებისა და პროცესმაპროვოცი-რებელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორების სინერგიზმით, ამიტომ აუცილებელია ვფლობდეთ სრულფასოვან ინფორმაციას გეოლოგიური პროცესების სახეობებზე, მათი განვითარების კანონზომიერებასა და იმ ცვლილებების ტენდენციებსა და ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად განაპირობებენ მათი წარმოქმნა-რეაქტივაციის ხასიათსა და მასშტაბს. მით უმეტეს, რომ, ამავე დროს მდ. მდ. ნაკრასა და ნენსკრას აუზები წარმოადგენენ ჰიდროტექნიკური თვისებების რეალურ ობიექტებს.

საკვანძო სიტყვები: შეფასება, გეოლოგიური პროცესები, დაცვა, შემუშავება, შესაბამისი ზომები.

შესავალი

მდ. ნაკრა წარმოადგენს მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადს, რომელიც იწყება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ამავე სახელწოდების უღელტეხილთან 3200 მ აბს. სიმაღლეზე და უერთდება მდ. ენგურს 1000 მ აბს. სიმაღლეზე. მდინარის სიგრძე შეადგენს 22 კმ-ს, ხოლო აუზის საერთო ფართობი 169 კმ². მდინარის საერთო ვარდნაა 2200 მ, ხოლო ყოველ კილომეტრზე საშუალოდ 100 მ. მდ. ნაკრას აუზში დაფიქსირებულია 10 კმ-ზე ნაკლები სიგრძის 41 შენაკადი, რომელთა საერთო სიგრძე 68 კმ-ს შეადგენს და ყველა ეს შენაკადი ღვარცოფტრანსფორმირებადია. სამწუხაროდ, მდ. ნაკრას აუზის ჰიდროლოგიური პირობები და მისი გეოდინამიკური საშიშროება დღემდე შეფასებული არ არის [4].

მდ. ნაკრას აუზი ტიპური მაღალმთიანი ზონის რელიეფს განასახიერებს, მრავალსართულიანი ლანდშაფტის სარტყელით - მთა-ტყეებიდან, ნივალურამდე. აუზი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი წყალგამყოფი, თითქმის მერიდიანულად მიმართული შტოქედებით - დასავლეთით მდ. ნაკრასა და მდ. ნენსკრას გამყოფი შტავლერის ქედით, რომელიც დაგვირგვინებულია მწვერვალ შტავლერით (3995 მ), ხოლო აღმოსავლეთით - მდ. ნაკრასა და მდ. დოლრას აუზის გამყოფ - მ. ცალგმლის ქედით (მ. ცალგმლისის აბს. სიმაღლეა 3991 მ).

მდ ნაკრას აუზში განვითარებული რელიეფის ტიპებისა და ფორმების წარმოქმნა, მსგავსად კავკასიონის სხვა მთიანი რეგიონების მდინარეთა აუზებისა, ექვემდებარება ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან კანონზომიერებას. ეს არის უკიდურესად რთული გეოლოგიური აგებულება, გამოსახული არაერთგვაროვანი სიმტკიცისა და ტექტონიკურად აშლილი ქანების არსებობაში, რომლის მორფოსტრუქტურული ზონები ჩამოყალიბდა აღმავალი ტექტონიკური მოძრაობების საერთო ფონზე და მეორე - კლიმატური ფაქტორი, მკვეთრად გამოკვეთილი ვერტიკალური ზონალობით - საშუალო და მაღალმთიანეთიდან, ალპურ-ნივალურით დამთავრებული, რომელთა შერწყმულმა სინერგიზმმა განაპირობა ეგზოგენური მორფოლოგიური კომპლექსების ვერტიკალურ-ზონალური განაწილება - ნორმალური ეროზიულიდან, მეოთხეული გამყანვირების მოქმედებისა და თანამედროვე ნივალური ზონის ჩათვლით. ამჟამინდელ ნივალურ ზონაში აღრიცხულია 28 მცირე ფართობის მქონე კარული და დაკიდებული მყინვარი, რომელთა საერთო ფართობი 10 კმ²-ის საზღვრებშია [5].

მეოთხეული გამყინვარების შემდგომ პერიოდში რელიეფის ფორმირებაში დომინირებს მდინარეული ეროზია, რომელიც მიისწრაფვის იქითკენ, რომ მოასწოროს ზედა პლეისტოცენის მყინვარების მიერ დატოვებული კვალი. ამ სარტყლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეომორფოლოგიური თავისებურებაა მდინარეთა ხეობების გაუწონასწორებელი პროფილების არსებობა სიღრმითი ეროზიული პროცესებით, რომელთა კალაპოტები ნახევრად დაკიდებული პროფილებითა და ჩანჩქერების სიმრავლით გამოირჩევიან, ხოლო დიდი დახრილობის ფერდობებზე გრავიტაციული მოვლენების ინტენსივობით, რომელებიც ახდენენ სხვადასხვა სტადიაში მყოფი მორფოლოგიური ფორმების გადამუშავებასა და ღვარცოფმაფორმირებელი კერების წარმოქმნას.

ძირითადი ნაწილი

მდ. ნაკრას წყალშემკრები აუზის ქვედა ზონის რელიეფში, ჩამოყალიბებულია ხეობის მორფოლოგიის სრული პროფილი, რომელიც ფორმირებულია გლაციალურ-ეროზიული პროცესების აქტიური ზემოქმედებით აღმავალი ტექტონიკური მოძრაობების საერთო ფონზე. ხეობის განივი პროფილი ტრაპეციული ფორმისაა, ფართო ძირით, რომელიც წარმოადგენს ეროზიულ-აკუმულაციური პროცესებით გარდაქმნილ ტროგულ ხეობას, შემდეგში ამოვსებულს მდინარეული და ღვარცოფული ნალექებით. თუმცა ხეობის ძირის მორფოლოგია და მის ცალკეულ უბნებში შემორჩენილი მორფოლოგიური ფორმები, მეოთხეული ნაფენების პეტროლითოლოგია და ფაციალური ხასიათი უდავოდ მიუთითებს, რომ ისინი მნიშვნელოვანი მყინვარული წარმოშობის უნდა იყოს. ამის დამადასტურებელია სოფლის

ტერიტორიაზე არსებული კრისტალური ფიქლებისა და გრანიტოიდული ლოდების არაერთი ერატიული წარმონაქმნი (სურ. 1).



სურ. 1. სოფ. ნაკრას ტერიტორიაზე არსებული ზედა პლეისტოცენური გამყინვარების ერატიული ლოდი

მდ. ნაკრას გამომუშავებული აქვს გასწვრივი გაწონასწორებული პროფილი, რომლის კალაპოტი ამოვსებულია ტრანზიტულ-აკუმულაციური ხასიათის ლოდნარ-კაჭაროვანი და კენჭნარ-ხვინჭიან-ლორლოვანი ფაციესით, სადაც მიმდინარეობს ამ სახის კალაპოტური ნალექების პერიოდული დაგროვება და გარეცხვა-გატანა.

მდ. ნაკრას ღრმად ჩაჭრილი (1000-1500 მ-ზე მეტი) ხეობის ფერდობები ამოზნექილი პროფილით ხასიათდებიან, რაც პირდაპირი მაჩვენებელია, რომ ამ მდინარის წყალგამყოფი შტო-ქედები ხეობის განვითარების მთელ პროცესში კავკასიონის მთავარ ქედთან ერთად განიცდიდა უწყვეტ აზევებას. ამაზე ნათლად მიუთითებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მდ. ნაკრას არ აქვს გამომუშავებული ციკლური ხასიათის მდინარეული ტერასები, ხოლო ფრაგმენტულად შემორჩენილი მდინარეული ნალექები ღრმად ჩაჭრილი ხეობის ფერდობების სხვადასხვა სიმაღლეზე და მისი რელიეფის ლანდშაფტურ-მორფოლოგიური ზონალობა ნათლად მიუთითებს ამ მხარის აზევების ტეპზე.

ამრიგად, მდ. ნაკრას ხეობის მორფოლოგიურ თავისებურებასა და მრავალპალიტრიანი რელიეფის მიკროფორმების ჩამოყალიბებაში წარმმართველია ლითოლოგიურ-ტექტონიკური აგებულება და ქანების მაღალი მგრძნობიარობა კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორებისადმი, აღმავალი ტექტონიკური მოძრაობები და მათთან დაკავშირებული ტექტონიკური რეგიონალური და ლოკალური ხასიათის რღვევები, რომლებიც რელიეფში საფეხურების სახით არიან ასახული. ამ ლინიამენტების უმეტესობა გასდევს ძირითადი გეოლოგიური წყებების გამყოფ საზღვრებს, რომლებიც ამავე დროს მიწისძვრების გენერირების კერებს ქმნიან. თუმცა, კიდევ უფრო მეტია ადგილობრივი ხასიათის რღვევები და ყველა მათგანი არეკლილია რელიეფის შესაბამისი მიკროფორმების ფორმირებაში. ასეთებია: მდ. ნაკრას ლაქნაშურას, ლექვერარისა და სხვათა შენაკადების ხეობებში არსებული მრავალი ეგზოტექტოგენური მეწყერი და კლდეზვავი და მდ. ნაკრას ხეობის მარცხენა ფერდის სოფლის დასახლებულ სივრცეში ფორმირებული და აქტიურ დინამიკაში მყოფი მეწყერულ-

გრავიტაციული უბნები. ცოცხალი ტექტონიკური რღვევების ფართო მასშტაბით არსებობაზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე მრავალი მინერალური წყაროს ზედაპირული გამოსავალი.

საკუთრივ მდ. ნაკრას ხეობის დასახლებული ნაწილის გეომორფოლოგიური ბუნება, რომელიც დაკავებულია ამავე დასახლებების სოფლის მოსახლეობით, მკვეთრად განსხვავებული რელიეფური თავისებურებებით გამოირჩევა. აქ საქმე გვაქვს ხეობის ასიმეტრიული აღნაგობის გაფართოებულ უბანთან, სადაც მდინარე ჩრდილოეთით დიდი დახრილობის კუთხით (50-70°) კვეთს დენუდაციურ-გრავიტაციული პროცესებისადმი უკიდურესად სენსიტიურად განწყობილ ზედა და შუა იურული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების სქელ წყებას, ხოლო მისი მარჯვენა ფერდის სულ ზედა ჰიფსომეტრიული დონის აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ პალეოზოოური ასაკის რეგიონალური მეტამორფიზებული კრისტალური ფიქლები, რომელიც მთა შტავლერის სივრცეში ბრონირებულია პორფირიტისებური მიკროკლინური გრანიტებით [2]. სწორედ, სოფ. ნაკრას ტერიტორიაზე ჩამომავალი მდ. ნაკრას მარჯვენა შენაკადები - ლაქნაშურა და ლექვერარი ფორმირდებიან შტავლერის ქედის ამ ყველაზე მაღლა აზიდული მასივის სივრცეში, სადაც პერიოდულად ადგილი აქვს კატასტროფული ხასიათის ღვარცოფების ტრანსფორმაციას, რომლებიც რეალურ საშიშროებას უქმნიან სოფლის მოსახლეობასა და მის ინფრასტრუქტურას. ამ ტერიტორიაზე ვფიქრობთ უნდა ყოფილიყო მდ. ნაკრას ხეობის ზედაპლესტოცენური მყინვარების გავრცელების ბოლო საზღვარი, რაზეც ნათლად მიუთითებს ნალექების თავისებურება და რელიეფის მორფოლოგია. ხეობის ძირის თანამედროვე რელიეფი მთლიანად აგებულია ფლუვიოგლაციალური, ალუვიურ-ღვარცოფული და მორენული ნაფენებით. რაც შეეხება ხეობის ასიმეტრიულობას, სადაც დღეისათვის მდ. ნაკრას კალაპოტი, რომელიც უშუალოდ ებჯინება ხეობის მარცხენა ფერდს და რეცხავს მის ძირს, ეს განპირობებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, წყალგამყოფ შტავლერის ქედის უფრო მაღალი აზევებით (რაც ნათლად იკვეთება ხეობის მარჯვენა მხარის ტოპოგრაფიაში), ხოლო, მეორეს მხრივ, მდ. ნაკრას ამავე მხარის შენაკადების ინტენსიური ღვარცოფული პროცესებით შექმნილი გამოზიდვის კონუსებით.

სოფ. ნაკრას მოსახლეობასა და მის ინფრასტრუქტურას უშუალოდ ემუქრება მდ. მდ. ლაქნაშურასა და ლექვერარის აუზებში პერიოდულად ტრანსფორმირებული მაღალი ენერჯის ღვარცოფები და, საკუთრივ, მდ. ნაკრასში წარმოქმნილი წყალდიდობა-წყალმოვარდნები და მასთან დაკავშირებული ნაპირების ეროზიული გარეცხვები, ასევე ხეობის მარცხენა ფერდობზე განვითარებული სხვადასხვა სახის მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენები.

ორივე მდინარის - ლექვერარისა და ლაქნაშურას აუზები მდებარეობენ მდინარეების ნაკრა-ნენსკრას წყალგამყოფის - შტავლერის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, რომელთა სათავეები იწყება ამავე სახელწოდების მთის მასივის 3000 მ-ის აბს. სიმაღლის სივრცეში. ამ მდინარეთა აუზების გეომორფოლოგიური თავისებურება და გეოლოგიური აგებულება იდენტურია და ლანდშაფტური თვალსაზრისით მოიცავს საშუალომთიან ტყიან ზონას, მაღალმთიან ალპურს და ნაწილობრივ სუბნივალურ-გლაციალურს. გეომორფოლოგიურად იკავებს ტექტოგენურ-ეროზიულ-დენუდაციური მორფოსტრუქტურის მდგრადი აზევების ოლქის დასავლურ ნაწილს, სადაც დომინირებს: 1) საშუალომთიანი ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი ძველი გამყინვარების ნიშნებით, განვითარებული იურული ტერიგენული ნალექებით აგებული ფიქლოვანი წყების სუბსტრატზე, რომელიც ინტენსიურადაა დანაოჭებული, ძლიერ

დანაპრალიანებული და დარღვეული ტექტონიკური წყვეტებით, რაც კიდევ უფრო სენსიტიურს ხდის გრავიტაციულ-დენუდაციური და ეროზიული პროცესებისადმი.

მდ. ნაკრას მთავარი შენაკადები (ლექვერარი, ლაქნაშურა, უთვირი და სხვ.), რომელთა ფორმირება დაწყებულია ზედა პლეისტოცენური გამყინვარების ეპოქაში, ამჟამად, მათი მყინვარებით გამომუშავებული ტროგული მორფოლოგია მნიშვნელოვნად გარდაქმნილია ეროზიული პროცესებით. ხეობებს ზედა ნაწილში შენარჩუნებული აქვთ ფართო ტროგულ-ვარცლისებური მორფოლოგია (სურ. 2), ქვედა ნაწილი ტიპური ეროზიული ხასიათისაა - ვიწროდ და ღრმად ჩაჭრილი, დიდი დახრილობის ფერდობებით (45-60°-ზე ზევით) და ძნელად გასავლელი კალაპოტებით.

რაც შეეხება პოსტპლიოცენური გამყინვარების შემდეგ წარმოქმნილ ხეობებსა და ხევებს ყველა მათგანში მიმდინარეობს აქტიური სიღრმითი ეროზია, ახასიათებთ ძლიერ ვიწრო განიკვეთები, დიდი დახრილობის ბორტებითა (50-70°-ზე მეტი) და ჭორომიან-ჩანჩქერებიანი კალაპოტებით (სურ. 3).



სურ. 2. მდ. ლაქნაშურას ზემო წელის ტროგული ხეობა



სურ. 3. მდ. ლექვერარის ეროზიული კალაპოტი

საყურადღებოა, რომ ყველა ამ სახის ეროზიული წარმონაქმნი დაკავშირებულია ტექტონიკური რღვევის ხაზებთან ან და შრეების მიმართებასთან. მთლიანობაში ეს მორფოლოგიური ზონა შედის ხშირი ტყით დაფარულ ლანდშაფტურ სარტყელში. მდ. ნაკრას ყველა შენაკადი ასეთ მორფოლოგიას ინარჩუნებს გამოზიდვის კონუსების წვეროვებამდე.

2) შტავლერის ქედის მორფოსტრუქტურული ერთეულის შემდეგი ყველაზე მაღალი ჰიფსომეტრიული დონე არის მაღალმთიანი ალპურ-სუბნივალური გეომორფოლოგიური ზონა, გამომუშავებული პალეოზოური და კამბრიული სისტემის ნაოჭა სუბსტრატის რეგიონალური მეტამორფული ხასიათის კრისტალურ ფიქლებში. კრისტალური ფიქლები მთა შტავლერის მიდამოებში დაჯავშნულია კარბონული სისტემის გვიანროგენული გრანიტული მასივით, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილია ბიოტიტისანი პორფირული მიკროკლინიანი გრანიტებით და ქსენომორფული ფიქლებისა და გნეისების ღია შეფერილობის კვარცის, ბიოტიტის, ქლორიტის, მინდვრის შპატის და სხვა მინერალებით.

ამ მაღალმთიანი მორფოლოგიური ზონის არეალში დომინირებს გლაციალურ-ეროზიული და გრავიტაციულ-დენუდაციური რელიეფი ძველი გამყინვარების ფორმებით და

თანამედროვე ნივაციური პროცესების ნიშნებით, სადაც მუდმივი თოვლის ხაზი გადის 1990 მ აბს. სიმაღლეზე. ალპური ზონის სარტყელში ნათლადაა შემონახული ზედაპლესტოცენური გამყინვარების პერიოდში ფორმირებული ტროგული ხეობები მორენული ნაფენებით. თუმცა ამ ხეობების ქვედა საფეხურის განივი პროფილები ძლიერ სახეშეცვლილია თანამედროვე სიღრმითი ეროზიის ენერგეტიკული ზემოქმედებით.

აქ საქმე გვაქვს მორენული ნალექებით აგებულ ბორცვიან რელიეფთან, რომლის ზედაპირი სუსტად არის დასერილი სრულიად ახალგაზრდა ეროზიული პროცესების აქტიურად განვითარებადი ხრამებითა და მეწყერულ-სოლიფლუქციური მოვლენებით, რომლებიც ხანგრძლივი წვიმების პირობებში ქმნიან ღვარცოფული პროცესების ტრანსფორმაციის გარანტირებულ კერებს.

საყურადღებოა, რომ ამ ზონაში მეწყერული პროცესების განვითარებას ადგილი აქვს არამარტო მყინვარულ და ფერდობულ ნალექებში, არამედ სულბალპური და ალპური სარტყლების საზღვარზე ტექტონიკურად აშლილი მეტამორფული ფიქლების რღვევითი ხაზების გასწვრივ, რომლის ფრონტალური გავრცელება 1კმ-ს აჭარბებს (სურ. 4-5).



სურ. 4-5 ტექტოსეისმოგენური მეწყერი მდ. ლაქნაშურას ხეობის შუა წელში, განვითარებული იურული ფიქლების წყებაში

